DRI
დემოკრატიის
კვლევის ინსტიტუტი
Democracy Research Institute

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების შეფასება



შემაჯამებელი ანგარიში

(2023 წლის 10 მარტის მდგომარეობით)

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

KONRAD ADENAUER STIFTUNG

DRI დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute

CSRDG საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სარჩევი

შესავალი **3**

მეთოდოლოგია **5**

ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესასრულებლად შემუშავებული „ქართული ოცნების“ გეგმის შეფასება **6**

პრიორიტეტი 1. პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა 6

პრიორიტეტი 2.1. სახელმწიფო უწყებების დამოუკიდებლად ფუნქციონირება და მათზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება 10

პრიორიტეტი 2.2. საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება 13

პრიორიტეტი 3.1. მართლმსაჯულების რეფორმა 18

პრიორიტეტი 3.2. გენერალური პროკურორის ნომინირება 23

პრიორიტეტი 4.1. ანტიკორუფციული რეფორმა 25

პრიორიტეტი 4.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერება 29

პრიორიტეტი 5. დეოლიგარქიზაცია 32

პრიორიტეტი 6. ორგანიზებული დანაშაული და სამართალდამცავ უწყებებზე ზედამხედველობის გაძლიერება 36

პრიორიტეტი 7. პროფესიული, პლურალისტური, დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველყოფა 39

პრიორიტეტი 8. მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება 43

პრიორიტეტი 9. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა 45

პრიორიტეტი 10. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა 48

პრიორიტეტი 11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენების გათვალისწინება სასამართლო გადაწყვეტილებებში 51

პრიორიტეტი 12. სახალხო დამცველის გამჭვირვალე შერჩევა და აპარატის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა 53

ძირითადი მიგნებები: **58**

რეკომენდაციები **58**

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებული მოვლენების ზოგად აღწერასთან ერთად, მიზნად ისახავს შეფასებას, ერთი მხრივ, რამდენად სრულდება მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ წარმოდგენილი 12 პუნ-ქტიანი გეგმა და მეორე მხრივ, რამდენად პასუხობს ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებები ევროკავშირის პრიორიტეტებს.

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ ევროკომისიის 17 ივნისის გადაწყვეტილება დაამტკიცა, რითაც საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პრიორიტეტის შესრულებაზე მუშაობა დაევალა. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება მოიცავს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განმტკიცებისთვის აუცილებელი მინი-მალური პრიორიტეტების ჩამონათვალს. ევროკავშირი ქვეყნის უმთავრეს პრობლემად პოლიტიკურ პოლარიზაციას ხედავს.

2022 წლის პირველ ივლისს, მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანება „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატის სტატუსის მისაღებად გაწერილი 12 პრიორიტეტის შესრულების

გეგმა წარადგინა,[1] რომელიც მმართველმა პარტიამ ოპოზიციის ჩართულობის გარეშე შეიმუშავა. „ქართულმა ოცნებამ“ არც საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციები გაიზიარა და პროცესის განხორციელებას მხოლოდ თავისი გეგმით შეუდგა. საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული გეგმის შესრულებაში ჩართვაზე უარი განაცხადა, მიზეზად „სიმულაციური პროცესი“ დაასახელა და „ქართული ოცნების“ გეგმა დროის გაყვანის მცდელობად შეაფასა.[2] შესაბამისად, ოპოზიციის ნაწილმა ალტერნატიული სამუშაო ჯგუფები შექმნა. ხელისუფლებამ ოპოზიციის ნაწილის ეს ქმედება, ევროკომისიის პირველი პუნქტის (დეპოლარიზაცია) შეუსრულებლობად შეაფასა.[3]

ერთი შეხედვით, პროცესის დასაწყისში მმართველი პოლიტიკური ძალა აქტიურ რეჟიმში მუშაობდა, რაც გამოიხატა საქართველოს პარლამენტში სამუშაო ჯგუფების შექმნაში და საკანონმდებლო ცვლილებებში, თუმცა, პარალელურად, გრძელდებოდა და უფრო ინ-ტენსიური ხდებოდა ანტიდასავლური ნარატივები.

ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად მიმდინარე სამუშაო პროცესს ყველაზე დიდი საფრთხე საპარლამენტო უმრავლესობის ინიციირებულმა კანონპროექტებმა („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“) შეუქმნა, რასაც მასობრივი პროტესტი მოჰყვა. ხელისუფლების მხრიდან არაპ-როპორციული ძალის გამოყენების მიუხედავად, საპროტესტო ტალღა არ შეწყდა და „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა ერთი კანონპროექტი მეორე მოსმენის დროს ჩაეგდო, ხოლო მეორე - საკანონმდებლო ორგანოდან გაეწვია.

შინაარსობრივი ანალიზისა და პროცესზე საგულდაგულო დაკვირვების შედეგად, დემოკ-რატიის კვლევის ინსტიტუტმა რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოკვეთა:

- **პოლარიზაციის გაღრმავება** - ხელისუფლებამ ურთიერთობა გაამწვავა არა მხოლოდ ოპოზიციასთან, არამედ სამოქალაქო სექტორის თითქმის სრულ სპექტრთან
- **საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან** კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილის არქონის მკაფიო დემონსტრირება
- **კანონის პროექტების ფორმალური ხასიათი** - ევროკავშირის პრიორიტეტების შესრულების მიზნით ინიციირებული კანონის პროექტების ნაწილი არ შეესაბამება ევროკომისიის პრიორიტეტების სულისკვეთებას.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია ევროკომისიის მხრიდან განსაზღვრული პირობების წარმატებით შესრულებაზე საუბრობს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესასრულებლად კვლავ მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევაა საჭირო.

---

[1] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[2] netgazeti.ge, *რა პოზიცია აქვთ პარტიებს „ქართული ოცნების“ შეთავაზებულ გეგმაზე,* 04.07.2022, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/619527/

[3] bm.ge, *ევროკავშირის 12 პირობის შესასრულებლად პარლამენტში 5 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა,* 04.08.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41Zn9qu

მეთოდოლოგია

ანგარიში მოიცავს 2022 წლის 5 ოქტომბრიდან 2023 წლის 10 მარტის ჩათვლით პერიოდს, თუმცა, საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, მასში შესაძლოა, 2022 წლის 5 ოქტომბრამდე განვითარებული მოვლენებიც იყოს თავმოყრილი.

სამაგიდო კვლევა - ანგარიში მომზადებულია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული და მედიასაშუალებების მონიტორინგის შედეგად მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამასთან, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა პრიორიტეტების შინაარსობრივი მხარე ევროკომისიის მიერ ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე მომზადებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეაფასა.

კანონმდებლობის ანალიზი - დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა გააანალიზა ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების მიზნით მომზადებული კანონის პროექტები და შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.

აღწერითი სტატისტიკის ანალიზი: დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა, გააანალიზა და კვლევაში ასახა შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- პარლამენტის კომიტეტების შესაბამისი გადაწყვეტილებები სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ (სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა, მიზნები და მუშაობის ვადები)
- პარლამენტის კომიტეტებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმების ასლები
- სამუშაო ჯგუფების წევრთა ვინაობა
- სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგად საქართველოს პარლამენტში ინიციირებული კანონის პროექტები და განმარტებითი ბარათები.

გარდა ამისა, ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესასრულებლად „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი სამუშაო გეგმის იმ პუნქტებთან დაკავშირებით, რაც არ ითვალისწინებდა სამუშაო ჯგუფის შექმნას, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა გამოითხოვა ინფორმაცია, რა მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულდებოდა რეკომენდაციები და რა ეტაპზე იყო სამუშაო პროცესი.

ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესასრულებლად შემუშავებული „ქართული ოცნების“ გეგმის შეფასება

პრიორიტეტი 1. პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა

ევროკომისიის რეკომენდაცია

19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით გადაჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი, პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით.[4]

„ქართული ოცნების“ გეგმა

დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად, საქართველოს პარლამენტის ბაზაზე შეიქმნება პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით, რომელიც განახორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს და საზოგადოებას წარუდგენს ყოველკვირეულ ანგარიშს. მონიტორინგის ანგარიშში აისახება შესაბამისი რეკომენდაციები. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა და მუშაობის ფორმატი დაზუსტდება საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე. დეპოლარიზაციის კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო პარტნიორების პოზიციას და მათ სამართლიან და ჯანსაღ დამოკიდებულებას მაპოლარიზებელი ქმედებების მიმართ.[5]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე ევროკომისიის მოსაზრება (შემდგომში „ევროკომისიის მოსაზრება,“ „მოსაზრება“ ან „დოკუმენტი“) განმარტავს და შინაარსს სძენს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის მიცემული თორმეტივე პრიორიტეტს. დოკუმენტში პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში პოლიტიკური

[4] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: Georgia opinion and Annex.pdf (europa.eu)

[5] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

კრიზისის გამომწვევ მთავარ მიზეზადაა დასახელებული, რაც მიანიშნებს, რომ ევროკომისიის 12 პრიორიტეტს შორის პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება რიგით პირველ რეკომენდაციად შემთხვევით არ მოხვდა.

მოსაზრებაში მითითებულია, რომ საქართველოს პარლამენტში სათანადოდ არ ფუნქციონირებს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ყველა საპარლამენტო პროცედურა, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ორ პოლიტიკურ პარტიას შორის არსებული მწვავე დაპირისპირებით და პოლიტიკური დიალოგის პოლარიზაციით. მოსაზრებაში აქცენტი გაკეთებულია 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებაზე, როგორც ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ პოლარიზაციის შემცირების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობაზე.[6]

ევროკომისიის მოსაზრებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ პოლარიზაციის შესამცირებლად გადადგმულ ნაბიჯებად შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობა სხვადასხვა თემატურ სამუშაო ჯგუფებში. ევროკომისია აქცენტს არ აკეთებს პოლარიზაციის შესამცირებლად სპეციალური მექანიზმის შექმნაზე.

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

„ქართული ოცნების“ გეგმით გათვალისწინებული პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი არ შექმნილა.

ჩვენს წერილზე, რითაც საქართველოს პარლამენტს ვთხოვეთ ინფორმაცია პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, პარლამენტმა გვიპასუხა:

„საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამართა შეხვედრა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან, რომელზედაც განხილულ იქნა პოლარიზაციის შემცირებისა და მედიაგარემოს გაჯანსაღების მექანიზმები. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს შესთავაზა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც განახორციელებდა სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების მონიტორინგს, თუმცა მონაწილეთა მხრიდან ამ საკითხს უკუკავშირი არ მოჰყოლია. ამის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის აგვისტოდან დაიწყო სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების მონიტორინგი, რომელიც ახლაც მიმდინარეობს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გეგმავს ამ თემაზე ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან განმეორებითი შეხვედრის გამართვას.“

საქართველოს პარლამენტიდან დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის მიხედვით, პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ახორციელებს ბეჭდური, სატელევიზიო მედიის, ასევე სოციალურ ქსელებში იმ მასალების მონიტორინგს, *„რომელიც სცდება პოლიტიკური კრიტიკისათვის/ ოპონირებისათვის აღიარებულ საერთო ნორმებს და ლახავს ადრესატი პირის/პირთა ჯგუფის პირად არაქონებრივ უფლებებს, შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს და საზოგადოებაში სიძულვილის ელემენტებს წარმოქმნის/აღვივებს.“* დაკვირვების შედეგების გასაცნობად კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების და

[6] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* გვ. 5, 17.06.2022, ხელმისაწვდომია: Georgia opinion and Annex.pdf (europa.eu)

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს 2022 წლის ბოლომდე.[7]

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, აღნიშნული შეხვედრა არ შემდგარა. შესაბამისად, **„ქართული ოცნების“ გეგმა პირველი პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით ხარვეზიანი იყო და არ შესრულებულა.**

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

„ქართული ოცნების“ გეგმა ევროკომისიის პირველი პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით თავიდანვე იყო აცდენილი ევროკომისიის რეკომენდაციის სულისკვეთებასა და შინაარსს. პოლიტიკური პოლარიზაციის დასაძლევად საკვანძო საკითხებზე ოპოზიციასთან თანამშრომლობის ნაცვლად, „ქართული ოცნების“ გეგმა პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფის შექმნას ითვალისწინებდა, რაც პოლიტიკოსების განცხადებებზე პერმანენტულ დაკვირვებას, მათ შესწავლას და ყოველკვირეული ანგარიშის მომზადებას გულისხმობდა. შექმნის შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა შეიძლება დამატებით გამხდარიყო პოლარიზაციის გაღრმავების და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. რეალურად, მმართველი პარტიის გეგმის ეს ნაწილი არ შესრულდა.

„ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ნაწილს პოლარიზაციის დასაძლევად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. 2022 წლის 1-ელ ივლისს, როდესაც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესასრულებლად გეგმა წარმოადგინა, აღნიშნა, რომ პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება დანარჩენი 11 პუნქტის ეფექტიანად შესასრულებლად „ერთგვარი საფუძველი“ იყო. თუმცა, ნაცვლად ქმედითი ღონისძიებებისა, დედაქალაქში და საქართველოს რეგიონებში გრძელდებოდა სამოქალაქო აქტივისტების, მედია მფლობელების, სტუდენტური მოძრაობის წევრებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დევნა.[8]

პოლიტიკური პოლარიზაცია ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება: საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა მონაწილეობა არ მიიღო სამუშაო ჯგუფების მუშაობაში; სამუშაო ჯგუფების მუშაობაში შეზღუდული იყო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა;[9] მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ უგულებელყო ოპოზიციური პარტიების მიერ ინიციირებული კანონის პროექტები;[10] კონსენსუსურ ვერსიებზე შეთანხმების მცდელობის ნაცვლად, ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად ხელისუფლებამ[11] და ოპოზიციამ[12] ალტერნატიული გეგმები წარმოადგინეს.

---

[7] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N10628/2-7/22. 04-11-2022.

[8] interpressnews.ge, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40arrKO, ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის განცხადება, 02.07.2022, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1020/

[9] radiotavisupleba.ge, *„ქართული ოცნება“ წინააღმდეგია ISFED საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი იყოს,* 18.08.2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31994261.html

[10] ამის ნათელი მაგალითია პარტია „ლელოს“ მიერ ინიციირებული კანონის პროექტი, რომელიც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ყველაზე მეტად პასუხობდა გამოწვევებს, რაც დღეს კორუფციული თვალსაზრისით არსებობს. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/22209

[11] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[12] civil.ge, *საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 21.09.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/508822

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ოპოზიციასთან კონსენსუსის საფუძველზე არჩევა იქნებოდა კიდევ ერთი შესაძლებლობა ევროკომისიის პირველი პრიორიტეტის შესასრულებლად. თუმცა, პოლარიზაციის დაძლევა ვერც ამ შემთხვევაში მოხერხდა.

პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას ხელი შეუწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მოტივით გათავისუფლების/სასჯელის გადავადების მოთხოვნა.[13] მიღებულ გადაწყვეტილებას ოპოზიციური პარტიების მხრიდან პროტესტი მოჰყვა: „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები ბოიკოტის რეჟიმში გადავიდნენ და საპარლამენტო საქმიანობა შეწყვიტეს, თუმცა მანდატები შეინარჩუნეს.[14] ოპოზიცია საპარლამენტო საქმიანობას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის განხილვის დროს დაუბრუნდა.

2023 წლის 8 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საგაზაფხულო სესიის გახსნაზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიმოიხილა ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების მდგომარეობა. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ქართული პოლიტიკის პრობლემას არა პოლარიზაცია, არამედ რადიკალიზაცია წარმოადგენდა. შალვა პაპუაშვილის შეფასებით, სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი „დერადიკალიზაცია, ანუ რადიკალური ჯგუფების მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების აღიარება და რადიკალური დღის წესრიგის უარყოფაა.“[15] ამ განცხადებით მმართველმა პარტიამ სრულიად მოიხსნა პასუხისმგებლობა ევროკომისიის პირველი პრიორიტეტის შესრულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ახალი სახალხო დამცველი 96 ხმით, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მხარდაჭერით აირჩია, სახალხო დამცველის ასარჩევად შერჩეული პრობლემური დროის[16] გათვალისწინებით, აღნიშნული ვერ ჩაითვლება პოლარიზაციის შემცირებისკენ გადადგმულ ნაბიჯად.

შესაბამისად, ამ ეტაპზე, ევროკომისიის პირველი რეკომენდაცია, რაც მხარეებს შორის პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის გადაჭრას გულისხმობს - არ სრულდება. ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობა კი ევროინტეგრაციის პროცესის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს და ხელს უშლის ევროკომისიის სხვა პუნქტების სრულფასოვნად შესრულებასაც.

---

[13] mtavari.tv, *მოსამართლე გიორგი არევაძემ მიხეილ სააკაშვილს სასჯელი არ გადაუვადა,* 06.02.2023, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/112039-mosamartle-giorgi-arevadzem-mikheil-saakashvils

[14] radiotavisupleba.ge, *„სტრატეგია აღმაშენებელი" საპარლამენტო საქმიანობას წყვეტს,* 07.02.2023, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32259784.html

[15] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4178p8D

[16] პარლამენტმა საქართველოს სახალხო დამცველად ლევან იოსელიანი 96 ხმით 2023 წლის 7 მარტს აირჩია, იმ დღეს, როდესაც საპარლამენტო სესიაზე მოულოდნელად დაიწყო ე.წ. რუსული კანონპროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ განხილვა. იხ. https://parliament.ge/media/news/parlamentma-sakhalkho-damtsvelis-postze-levan-ioselianis-kandidaturas-mkhari-dauchira

პრიორიტეტი 2.1.
სახელმწიფო უწყებების დამოუკიდებლად ფუნქციონირება და მათზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება

ევროკომისიის რეკომენდაცია

[ხელისუფლებამ] უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გააძლიეროს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები.[17]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო ზედამხედველობის სფეროში პარლამენტის რეგლამენტის აღსრულების ყოვლისმომცველ შეფასებას და მოამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არა უგვიანეს [2022 წლის] 21 სექტემბრისა და მიიღება არა უგვიანეს 1 ნოემბრისა.[18]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

მეორე პრიორიტეტის პირველ ნაწილთან დაკავშირებით, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტში სათანადოდ არ ფუნქციონირებს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ყველა საპარლამენტო პროცედურა, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ორ პოლიტიკურ პარტიას შორის არსებული მწვავე დაპირისპირებით. შესაბამისად, დოკუმენტი უთითებს, რომ „მეტია გასაკეთებელი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის და კონტროლის გასაძლიერებლად და პარლამენტის მიერ საკანონმდებლო პროცესის გულდასმით შესამოწმებლად.“ გარდა ამისა, დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანი ზედამხედველობის აუცილებლობაზე.

[17] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: Georgia opinion and Annex.pdf (europa.eu)

[18] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან სამუშაო ჯგუფი 2 აგვისტოს შეიქმნა.[19] ჯგუფმა, საერთო ჯამში, 4 შეხვედრა გამართა.[20] საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა დაიცვა (მცირედი დაგვიანებით) კანონპროექტის შემუშავების და მიღებისთვის მის მიერვე განსაზღვრული ვადები: სამუშაო ჯგუფმა „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტი" პარლამენტს წარედგინა 19 სექტემბერს. საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა მესამე მოსმენით 2022 წლის 2 ნოემბერს, გეგმით გათვალისწინებულზე 1 დღით გვიან მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების" გეგმა სახელმწიფო უწყებების დამოუკიდებლად ფუნქციონირებასთან და მათზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებით სრულად არ შეესაბამებოდა ევროკომისიის რეკომენდაციის სულისკვეთებას, „ქართულმა ოცნებამ" საკუთარი გეგმა შეასრულა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

ევროკომისიის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ძირითადად საქართველოს პარლამენტს მიემართება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნების" გეგმა - პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

პარლამენტში ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად შექმნილი თითქმის ყველა სხვა სამუშაო ჯგუფისგან განსხვავებით, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში უზრუნველყოფილი იყო პროცესის ინკლუზიურობა. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის და რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობა მიეცა თითქმის ყველა მსურველ საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციას.

სამუშაო ჯგუფმა გაიზიარა საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რამდენიმე მოსაზრება, მათ შორის, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციები: პარლამენტის წევრის მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვის გამოყოფილი დროის 15-დან 10 დღემდე შემცირებასთან, თანამდებობის პირების მიერ საპარლამენტო მოსმენაზე სავალდებულო გამოუცხადებლობის შემთხვევაში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ ამ საკითხის შესწავლისა და რეაგირების მექანიზმების შემუშავებასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ყოველწლიური ანგარიშის პარლამენტის წინაშე პირადად წარდგენასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, პარლამენტის რეგლამენტში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რაც პრაქტიკაში სწორად იმპლემენტაციის შემთხვევაში, საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. კერძოდ,

[19] parliament.ge, *საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერებასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი შეიქმნა,* 02.08.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kXPAny
[20] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი, N10168/2-7/22, 28.10.2022.

- გაიზარდა ინტერპელაციის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა;
- პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში გამოცხადებამდე, მინისტრს 5 დღით ადრე წერილობითი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება დაეკისრა;
- კომიტეტის თავმჯდომარეს დაეკისრა შესაბამისი ანგარიშვალდებული პირისთვის სხდომაზე დაბარების შესახებ კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის არაუგვიანეს სამი დღეში გაგზავნის ვალდებულება;
- განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე კომიტეტის სხდომაზე დასწრების მოთხოვნის შესახებ ინფორმაციისა და კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი თანამდებობის პირისთვის გაგზავნილი წერილის და სხდომის შესაბამისი აუდიოჩანაწერის განთავსების ვალდებულება;
- თემატური მოკვლევის ვადად განისაზღვრა 3 თვე, მაქსიმუმ 2 თვის ვადით გახანგრძლივების შესაძლებლობით და სხვ.

თუმცა, სამუშაო ჯგუფმა არ განიხილა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ის შეთავაზებები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაძლიერებას ეხებოდა, იმ მოტივით, რომ ამ საკითხებზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი იმუშავებდა. თუმცა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს სამართალდამცავ სტრუქტურებზე ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით მუშაობა არ გაუწევია. შესაბამისად, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით შესასრულებელი რჩება არაერთი საკითხი. მათ შორის: საპარლამენტო ოპოზიციისთვის საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების გაზრდა (დღეს კონტროლის მექანიზმების ამოქმედება დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის თანხმობაზე); ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება; ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის მხრიდან, რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების ამოქმედება და სხვ.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებით კვლავ დარჩა არაერთი ხარვეზი, რომელთა გამოსწორების გარეშე, გაუმჯობესებულ საპარლამენტო ზედამხედველობასა და ევროკომისიის აღნიშნული პრიორიტეტის სრულყოფილად შესრულებაზე საუბარი რთული იქნება.

პრიორიტეტი 2.2.
საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება

ევროკომისიის რეკომენდაცია

კიდევ უფრო გაუმჯობესოს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს ეუთო/ოდირმა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა.[21]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნება საარჩევნო კოდექსის რევიზიის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან პარლამენტარები ყველა საპარლამენტო პოლიტიკური პარტიიდან, აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. მომზადდება ცვლილებები საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომელშიც სათანადოდ იქნება ასახული ეუთო-ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება [2022 წლის] არა უგვიანეს 21 სექტემბრისა და პარლამენტის მიერ მიიღება არა უგვიანეს 13 დეკემბრისა. მეორე მოსმენით მიღებამდე, კანონპროექტი დასკვნისთვის გაეგზავნება ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს.

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკომისიის დოკუმენტის მიხედვით, საარჩევნო ჩარჩო მთლიანობაში შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. 2020 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით (120 პროპორციული და 30 მაჟორიტარული მანდატით პარლამენტში, 1%-იანი ბარიერით). დადებით კონტექსტშია მოხსენიებული 2024 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება. თუმცა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია 19 აპრილის შეთანხმებაზე და მისი შესრულების მნიშვნელობაზე.

დოკუმენტში აქცენტირებულია ამომრჩევლებზე ზეწოლის, მათი მოსყიდვის, საარჩევნო კამპანიებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების პრობლემური ხასიათი, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება და საარჩევნო დავების გადაწყვეტის პრობლემურობა. აღნიშნულ პრიორიტეტთან დაკავშირებით, ევროკომისიის ძირითადი რეკომენდაციებია:

[21] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

- შესრულდეს 19 აპრილის შეთანხმება.
- სრულად შესრულდეს ეუთო/ოდირის მიერ 2020 და 2021 წლებში გაცემული რეკომენდაციები.[22]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფმა პირველი სამუშაო შეხვედრა 2022 წლის 18 აგვისტოს გამართა[23] და 3 სამუშაო შეხვედრაში მოამზადა კანონის პროექტი, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 21 სექტემბერს დააინიციირა. მმართველმა პარტიამ არ შეასრულა საკუთარი გეგმის ნაწილი არასამთავრობო სექტორის სამუშაო ჯგუფში ჩართვის შესახებ და „სამართლიან არჩევნებს" (ISFED) სამუშაო ჯგუფში ჩართვაზე უარი უთხრა. არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობამ აღნიშნული ფაქტი დის-კრიმინაციად შეაფასა და სამუშაო ჯგუფებში მუშაობა პროტესტის ნიშნად შეაჩერა. შესაბამისად, საარჩევნო რეფორმის განხორციელების პროცესი არაინკლუზიური იყო.

2022 წლის 6 დეკემბერს ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ერთობლივ მოსაზრებებზე დაყრდნობით, კანონის პროექტებში გარკვეული ცვლილებები შევიდა. საბოლოო ჯამში, პარლამენტმა ცვლილ-ებები 22 დეკემბერს მესამე მოსმენით მიიღო.

სამუშაო პროცესის ვადებთან დაკავშირებით, მმართველმა პარტიამ საკუთარი გეგმა თითქმის სრულად შეასრულა - მცირედით დაარღვია კანონის პროექტის საბოლოოდ მიღების ვადა (გეგმის მიხედვით, კანონის პროექტი არა უგვიანეს 13 დეკემბრისა უნდა მიღებულიყო). თუმცა, არ შესრულებულა გეგმის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო პროცესში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობას ითვალისწინებდა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

ევროკომისიის მთავარი რეკომენდაცია, ნებისმიერი პრიორიტეტის შესრულებისას, პრო-ცესის ინკლუზიურობაა. საარჩევნო საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობა ამ დათქმას ნაკლებად აკმაყოფილებდა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილ საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფში საპარლამენტო პარტიების: „ქართული ოცნების", „ევროპელი სოციალისტების", „გირჩის", „მოქალაქეების" და პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენლები შედიოდ-ნენ.[24] გარდა იმისა, რომ სამუშაო ჯგუფში არ მონაწილეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", პოლიტიკური ჯგუფი „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის" და „რეფორ-მების ჯგუფი", ხელისუფლებამ თავად დაბლოკა საარჩევნო თემაზე მუშაობის გამოც-დილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები" (ISFED). ამ

[22] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* 17.06.2022, გვ. 5, ხელმისაწვდომია: Georgia opinion and Annex.pdf (europa.eu)

[23] parliament.ge, *საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფმა პირველი შეხვედრა გამართა,* 18.08.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jcXt8g

[24] parliament.ge, *გივი მიქანაძე: საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფის მიზანია მოხდეს საქართველოს საარჩევნო კოდექსის რევიზია ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე,* 18.08.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40cvjel

გადაწყვეტილების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობამ სამუშაო ჯგუფებში მუშაობა შეაჩერა.[25] შედეგად, საარჩევნო საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობა ნაკლებად წარმომადგენლობით იყო.

ე.წ. შარლ მიშელის 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული იყო საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ბარიერის 2%-მდე დაწევა. საკანონმდებლო ინიციატივა მმართველმა პარტიამ შეთანხმებაზე ხელმოწერიდან მალევე, 2021 წლის 29 ივნისს დააინიციირა. კონსტიტუციური კანონის პროექტი პარლამენტმა ერთი მოსმენით მიიღო, თუმცა ამის შემდეგ პროცესი დამუხრუჭდა. 2022 წლის 24 აგვისტოს პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ განაცხადა: „თუ დავინახავთ, რომ რადიკალურ ოპოზიციას პოლარიზაციის ხარისხის შემცირების სურვილი აქვს, საარჩევნო ბარიერის დაწევაზე ჩვენი ინტერესი გაიზრდება."[26] ამ მიმართულებით, პროცესს მსვლელობა არ ჰქონია.

მმართველმა პარტიამ მომზადებული კანონის პროექტი პარლამენტში 2022 წლის 21 სექტემბერს დააინიციირა.[27] კანონის პროექტის მთავარი ცვლილება არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებას შეეხებოდა (არანაკლებ 70%). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კანონის პროექტი ვენეციის კომისიასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს გადაუგზავნა და ერთობლივი მოსაზრების გაზიარება სთხოვა. ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ერთობლივი მოსაზრების პროექტი 2022 წლის 2 დეკემბრით თარიღდება.[28] მოსაზრებაზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა კანონის პროექტში ცვლილებები შეიტანა და 2022 წლის 22 დეკემბერს მესამე მოსმენით მიიღო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი დაამტკიცა უბნები, სადაც ამომრჩეველთა დაახლოებით 90% ელექტრონული წესით მისცემს ხმას.

ელექტრონული წესით არჩევნების ჩატარებას მომხრეები ჰყავს ოპოზიციაში (მაგ. „მოქალაქეები" და „გირჩი"). თუმცა, ზოგიერთი მათგანი ამ ცვლილებას არასრულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ელექტრონული წესით არჩევნები უნდა ჩატარდეს ყველა საარჩევნო უბანში, ვინაიდან, ამ წესის მხოლოდ უბნების 70%-ში დანერგვის შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ მმართველი პარტია რეგიონებსა და უბნებს თავისი სურვილით შეარჩევს.[29]

მმართველი პარტიის მიერ მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი რეკომენდაციები შემდეგ საკითხებს შეეხებოდა:

---

[25] democracyresearch.org, *მმართველმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს ISFED-ის ჩართულობა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში,* 20.08.2022,
ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1058/

[26] 1tv.ge, *ირაკლი კობახიძე - თუ დავინახავთ, რომ რადიკალურ ოპოზიციას პოლარიზაციის ხარისხის შემცირების სურვილი აქვს, საარჩევნო ბარიერის დაწევაზე ჩვენი ინტერესი გაიზრდება,* 24.08.22,
ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-tu-davinakhavt-rom-radikalur-opozicias-polarizaciis-khariskhis-shemcirebis-survili-aqvs-saarchevno-barieris-dawevaze-chveni-interesi-gaizrdeba/

[27] parliament.ge, საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ", 21.09.2022, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/24699

[28] Parliament.ge, *ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ერთობლივი მოსაზრების პროექტი,* 06.12.2022,
ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3S9T3w4

[29] civil.ge, *ელექტრონული არჩევნების შესახებ მმართველი პარტიის ინიციატივას ოპოზიცია გამოეხმაურა,* 13.09.2022,
ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/508059

- ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისთვის რეგულირების წესის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და გასაგებია ამომრჩევლისთვის.
- არჩევნების შედეგების გადათვლის წესის მკაფიო და ყოვლისმომცველი კრიტერიუმების დადგენა.
- სამართლებრივი კრიტერიუმებს განმარტება იმაზე, თუ რომელ საარჩევნო უბნებზე იქნება გამოყენებული ელექტრონული საშუალებები.
- გარდამავალი პერიოდისთვის მაინც, ამომრჩევლების მაქსიმალური რაოდენობის შენარჩუნება იმ უბნებისთვის, სადაც გამოყენებული იქნება ელექტრონული საშუალებები.
- კენჭისყრის ახალი ტექნოლოგიებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებისთვის კონვენციური საშუალებების (ისეთის, როგორიც არის საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის გამოყენება და იმ ამომრჩევლის მარკირება, რომელმაც ბიულეტენი გამოიყენა) შენარჩუნება.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება გასაჩივრების წესზეა გამახვილებული. მოსაზრებაში მითითებულია, რომ მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსის 77(2)-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრებისა და აპელაციების წარდგენისა და განხილვის ვადების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გადახედვა.

2022 წლის დეკემბრის საარჩევნო ცვლილებები საარჩევნო საკითხებზე მომუშავე რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შეაფასა. ორგანიზაციებმა, მიუხედავად რეფორმის დადებითად შეფასებისა, აქცენტი არაერთ პრობლემურ ჩანაწერზე გაამახვილეს, მათ შორის, ცესკოს ფართო უფლებამოსილებასა და რეგულაციაზე, რომელიც საარჩევნო უბანზე პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას უკრძალავს.[30] მათ კიდევ ერთხელ მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ აუცილებელია:

- საარჩევნო რეფორმის დროს მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის როგორც ცალკეულ კანონპროექტებზე დაწერილი დასკვნები, ისე საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი რეკომენდაციები.
- აღდგეს 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციები.
- გაუქმდეს პოლიტიკური პარტიისთვის საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის ის უსამართლო წესი, რაც პარლამენტში მისი წევრების გარკვეულ ქმედებებს შეიძლება მოჰყვეს და სხვ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ფართო მრავალპარტიული მონაწილეობითა და თითქმის სრული კონსენსუსით მიიღო პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი. სულ ახლახან პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილების საფუძველზე, ცესკომ დაამტკიცა ის საარჩევნო უბნები, რომლებშიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული მთვლელის გამოყენებით ჩატარდება. შედეგად,

[30] isfed.ge, *საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება,* 31.01.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KmzSx4

ამომრჩევლების 90% ხმას სწორედ ასეთ უბნებში მისცემს, რაც ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებაა.“[31]

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიესალმება არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებას. თუმცა, აუცილებელია აღნიშნოს, რომ კანონის ბუნდოვანი ხასიათი, შესაძლოა, მმართველ პარტიას ლავირების არასასურველ შესაძლებლობას ანიჭებდეს. კერძოდ, უცნობია, რა კრიტერიუმით შეარჩია ცესკომ საარჩევნო უბნები; რა წესით უნდა დარეგისტრირდნენ ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე (ამ ნაწილში, კანონმდებლობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ფართო და ფაქტობრივად, უკონტროლო უფლებამოსილებას ანიჭებს). სამწუხაროა, რომ მმართველმა პარტიამ არ გაითვალისწინა ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის რამდენიმე რეკომენდაცია (მაგალითად, გასაჩივრების წესთან, საარჩევნო უბნებზე მაქსიმალური რაოდენობის ამომრჩევლის ფიქსირების წესთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით) და, ფაქტობრივად, უგულებელყო შარლ მიშელის შეთანხმება, რაც საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირებას გულისხმობდა.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ მიღებული ცვლილებები არ ეხება ამომრჩეველთა მოსყიდვის და დაშინების საკითხებს. ასევე, დასახვეწია საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პრევენციის მექანიზმები. პარლამენტმა ამ დრომდე ვერ უზრუნველყო ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს პროფესიული წევრების კონსენსუსის საფუძველზე არჩევა.

[31] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4178p8D

პრიორიტეტი 3.1.
მართლმსაჯულების რეფორმა

ევროკომისიის რეკომენდაცია

მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე სტრატეგია და ეფექტიანი სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისთვის, რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს.

უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულებით, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში.

გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით.[32]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი უახლოეს დღეებში აქტიურად განაახლებს მუშაობას და სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, მოამზადებს, როგორც სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, ისე შესაბამისი კანონპროექტების პაკეტს. სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მომზადდება და გამოქვეყნდება 1-ელ ოქტომბრამდე, რის საფუძველზეც საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდება და საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება 1-ელ ნოემბრამდე. კანონპროექტი ინიციირებისთანავე დასკვნისთვის გაეგზავნება ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა დაიწყება ვენეციის კომისიიდან და ეუთო/ოდირიდან დასკვნის მიღებისთანავე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა შესარჩევ კონკურსს საქართველოს პარლამენტი გამოაცხადებს არა უგვიანეს 30 სექტემბრისა, ხოლო კენჭისყრა საბჭოს წევრთა ასარჩევად ჩატარდება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

[32] ec.europa.eu, 17.06.22, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე მომზადებული ევროკომისიის მოსაზრების მიხედვით,[33] უკანასკნელი წლებში განხორციელებული ოთხ ტალღიანი რეფორმის ფარგლებში, გაუმჯობესდა სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო და საქართველოს სასამართლო სისტემის შესაძლებლობები. დოკუმენტის თანახმად, მთლიანობაში, კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის კონკრეტული გარანტიები უზრუნველყოფილია; მოსამართლეების ქონებრივი დეკლარაციების გადამოწმების სისტემა არსებობს, თუმცა ნაბიჯებია გადასადგმელი მათი აღსრულების და პრაქტიკული იმპლემენტაციის მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, მოსაზრებაში მითითებულია, რომ მოცემულ ეტაპზე მართლმსაჯულების რეფორმირებასთან დაკავშირებით პროგრესი შეჩერებულია და გარკვეული უკუსვლაც შეინიშნება. საზოგადოების მიერ სასამართლოს დამოუკიდებლობის აღქმის მაჩვენებელი გაუარესებულია და საქართველოს ჯერ კიდევ არ მიუღია მართლმსაჯულების რეფორმირების სტრატეგიული ჩარჩო 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის.

ევროკომისია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების აუცილებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებითი რეფორმირება ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.

არსებული გამოწვევების ნაწილში, ევროკომისია მიუთითებს, რომ

- კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ამ დრომდე არ არის არჩეული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე 5 წევრი.
- გასაუმჯობესებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი.
- გასატარებელია ღონისძიებები საქმეთა განაწილების ელექტრონული წესიდან გამონაკლისების შესამცირებლად, რათა გამოირიცხოს რეზონანსული საქმეების განაწილებაში ჩარევა.
- გასაუმჯობესებელია კანონმდებლობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის ნაწილში ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- მოსამართლეთა რაოდენობა არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტს, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე (9 მოსამართლე/100 000 ადამიანზე).

გარდა ამისა, მოსაზრებაში მითითებულია, რომ კანონმდებლობა სრულად არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისად დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებების სრულად ხელმისაწვდომობას.

[33] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union. Brussels,* გვ. 8, 17.06.2022, ხელმისაწვდომია https://bit.ly/3Zlla5

„ქართული ოცნების“ მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

მმართველმა პარტიამ საკუთარი გეგმა ვადებთან მიმართებით მცირედით დაარღვია - „საერთო სასამართლოების შესახებ კანონის პროექტი“ საქართველოს პარლამენტში 2022 წლის 9 ნოემბერს დარეგისტრირდა. თუმცა, გეგმის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტს 2022 წლის 15 ნოემბრამდე უნდა აერჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრი, არ შესრულებულა.

2022 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების ასარჩევად პარლამენტში კონკურსი ჩატარდა. კანონისმიერი ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, იურიდიულ კომიტეტში კანდიდატებთან ღია გასაუბრება გაიმართა, რითაც პარლამენტმა გაიმეორა პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის თავისივე დადგენილი კარგი პრაქტიკა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 32-მა კანდიდატმა. თუმცა, შერჩევის თაობაზე უმრავლესობის და ოპოზიციის კონსულტაციები უშედეგოდ დასრულდა. უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, ვერ შედგა მოლაპარაკება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, რის გამოც საკითხის განხილვა მომდევნო სესიისთვის გადაიდო.[34]

შესაბამისად, ევროკომისიის მოთხოვნის მიუხედავად, **იუსტიციის უმაღლესი საბჭო კვლავ არასრული შემადგენლობით განაგრძობს საქმიანობას.**

პარლამენტის თავმჯდომარემ დაადასტურა პროგრესის არარსებობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით: „სამწუხაროდ, კვლავ ღიად რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრის არჩევის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში გაიმართა 31 კანდიდატის საკომიტეტო მოსმენა, პოლიტიკურმა პარტიებმა კომპრომისულ კანდიდატზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამ საკითხზე დიალოგი 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე კვლავ გაგრძელდება.“[35]

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ კანონპროექტის და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება, ფორმალურად შესაბამისობაშია „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილ გეგმასთან, თუმცა შინაარსობრივად ვერ აკმაყოფილებს ევროკომისიის რეკომენდაციას, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ „ქართულ ოცნებას“ იმთავითვე არ ჰქონია ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების ინტერესი. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ფორმალურად ინკლუზიური იყო, მმართველმა პარტიამ არ დაუშვა სამუშაო ჯგუფში დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

სასამართლოს რეფორმის საკითხებზე „ქართულ ოცნებას“ კონკრეტული გეგმა არ წარმოუდგენია. ამ მიმართულებით რეკომენდაციების შესრულება სრულად დაევალა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს და მის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფს.

---

[34] radiotavisupleba.ge, *იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატების კენჭისყრა ფორმალური ხასიათის იქნება,* 21.12.2022,
ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32187697.html

[35] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023,
ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4178p8D

2022 წლის 4 აგვისტოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტში 21 წევრისაგან შემდგარი სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. სამუშაო ჯგუფში ჩართვის სურვილი შვიდმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გამოთქვა, თუმცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სამუშაო ჯგუფში მხოლოდ ორი ორგანიზაცია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სოციალური სამართლიანობის ცენტრი დაუშვა.

2022 წლის 3 ოქტომბერს იურიდიულმა კომიტეტმა სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა[36] წარმოადგინა, რომელიც, ანრი ოხანაშვილის განცხადებით, სამუშაო ჯგუფში მომზადდა[37]. თავის მხრივ, ეს დოკუმენტი წარმოადგენს პუნქტობრივ ჩამონათვალს და არ ითვალისწინებს სამოქმედო გეგმით გასატარებელი ღონისძიებების შინაარსს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, მონიტორინგის მექანიზმებს, რაც არა მხოლოდ დოკუმენტის სტრუქტურული პრობლემაა, არამედ შეუძლებელს ხდის მისი კონკრეტული შინაარსის დადგენას და ეფექტიანობის შეფასებას. დოკუმენტი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოებას, დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმების გაძლიერების მეშვეობით სასამართლოების განტვირთვას, მოსამართლეების სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერებას, სერვისების გაუმჯობესებას და სხვ. რაც თავისთავად პოზიტიური ნაბიჯებია, თუმცა არ პასუხებს ევროკავშირის რეკომენდაციას მართლმსაჯულების მთლიანი ჯაჭვის დამოუკიდებლობასა და იუსტიციის საბჭოს მასშტაბური რეფორმის უზრუნველყოფის თაობაზე. ამ საკითხზე დოკუმენტში არაფერია ნათქვამი.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული კანონპროექტი აუმჯობესებს ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის სტანდარტს, თუმცა საერთოდ არ პასუხებს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომელიც ეუთო/ოდირის ანგარიშშია[38] წარმოდგენილი და რომლის გათვალისწინების ვალდებულებასაც ევროკომისიის რეკომენდაციები სახელმწიფოს პირდაპირ აკისრებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განსახორციელებელი ცვლილებები საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის წესს ითვალისწინებს. სწორედ ეს წესი წარმოადგენს ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმების ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნებს. კანონპროექტი იძლევა საშუალებას, სასამართლო აქტების გაცემისას დაცული იქნას გადაწყვეტილების საჯაროობასა და პირის პერსონალურ მონაცემებს შორის ბალანსი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის და განმარტებების შესაბამისად. თუმცა, კანონპროექტი არ აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნას, შემოღებული იქნეს მოქნილი მექანიზმი, რაც გაამარტივებს სასამართლო აქტებზე საზოგადოების დროულ წვდომას[39]. შემოთავაზებული რეგულაცია გაუმართლებლად, ხანგრძლივი დროით ზღუდავს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად, დაუშვებელია სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტის გაცემა 2025 წლის 1-ელ მაისამდე. თავად განჩინება, რომლითაც წყდება საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის საკითხი, ძალაში შედის 1 წლის შემდეგ, რაც გაურკვევლად ტოვებს გადაწყვეტილების სრული ტექსტის ხელმისაწვდომობის საკითხს.

---

[36] parliament.ge, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k0MbnQ

[37] Radiotavisupleba.ge, *3 ოქტომბერი, 2022, „ოხანაშვილმა სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარადგინა“*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HqkCMu

[38] osce.org, *საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში*, 2021 წელი, აგვისტო. ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/3/4/496273.pdf

[39] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/4/693,857, 2019 წლის 7 ივნისი, პარაგრაფი § 67.

კანონპროექტი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტ-ილებების გაცემას საჯარო ინფორმაციის სახით. ამ ჩანაწერით იზღუდება შუალედურ გადაწყვეტილებებზე (საოქმო განჩინებები, ჩხრეკა, ამოღება, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება, ყადაღის დადება და სხვ) დროული წვდომა.

„ქართული ოცნების" მიერ წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი (პაკეტი), ერთი მოსმენის შემდეგ დასკვნისთვის ვენეციის კომისიას და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს გადაეგზავნა.[40]

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ისევე, როგორც პარლამენტის მიერ ერთი მოსმენით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები არ პასუხებს ევროკავშირის რეკომენდაციას მართლმსაჯულების მთლიანი ჯაჭვის დამოუკიდებლობასა და იუსტიციის საბჭოს მასშტაბური რეფორმის უზრუნ-ველყოფის თაობაზე, ზემოაღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

[40] Parliament.ge, *პარლამენტმა ვენეციის კომისიასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისში ერთობლივი სამართლებრივი მოსაზრებისთვის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში მომზადებული კანონპროექტები გააგზავნა,* 22.11.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YJc4rF

პრიორიტეტი 3.2.
გენერალური პროკურორის წარდგენა

ევროკომისიის რეკომენდაცია

გადაჭრას ყველა პრობლემა რომელიც გამოვლინდა გენერალური პროკურორის ნომინირების შემთხვევაში.[41]

„ქართული ოცნების“ გეგმა

კონსტიტუციური კანონის პროექტი გენერალური პროკურორის არჩევის წესის შესახებ საქართველოს პარლამენტში დაინიციირდება 1-ელ სექტემბრამდე, ხოლო პარლამენტის მიერ მიიღება არა უგვიანეს 29 ნოემბრისა.[42]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკომისიის მე-3 რეკომენდაცია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ნაწილად მოიაზრებს გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილებასაც. ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკომისიამ არაორაზროვნად მიუთითა,[43] რომ საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აღებული აქვს ვალდებულება გენერალური პროკურორი პარლამენტმა აირჩიოს კვალიფიციური უმრავლესობით. შესაბამისად, ევროკომისიის მოსაზრებით, გენერალური პროკურორის არჩევის ეს წესი უფრო მეტად უზრუნველყოფს პროკურატურის დამოუკიდებლობას.

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

„ქართულმა ოცნებამ“ შეიმუშავა კონსტიტუციური კანონპროექტი,[44] რომლის მიხედვითაც გენერალური პროკურორის ასარჩევად, საჭიროა კვალიფიციური (პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5) უმრავლესობის მხარდაჭერა. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის თანახმად, კანონპროექტი პარლამენტს 2022 წლის 5 სექტემბერს („ქართული ოცნების“ მიერ საკუთარი გეგმით განსაზღვრულ ვადაზე 4 დღით გვიან) წარედგინა. საპარლამენტო უმრავლესობამ და ოპოზიციამ გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილებას პირველი მოსმენით მხარი 2022 წლის 18 ოქტომბერს ერთობლივად დაუჭირეს. თუმცა შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ გეგმის თანახმად, გენერალური

[41] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[42] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[43] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lR9HnT

[44] parliament.ge, საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 08.10.2022, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/8/08.10.2022.pdf

პროკურორის არჩევის წესის ცვლილება 2022 წლის 29 ნოემბრამდე უნდა მომხდარიყო, პროცესი შეფერხდა.

პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული წესი გავრცელდება მხოლოდ მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტის მიერ გენერალური პროკურორის არჩევის პროცესზე. ცვლილებამ გაითვალისწინა ერთგვარი გამოსავალიც იმ შემთხვევისთვის, როდესაც ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოიპოვებს სრული შემადგენლობის 3/5-ის მხარდაჭერას. კერძოდ, თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გენერალურ პროკურორს ორჯერ ვერ აირჩევს, პარლამენტი გენერალურ პროკურორს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს. ამ შემთხვევაში გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა მხოლოდ ერთი წელი იქნება.

შესაბამისად, მმართველი პარტიის გეგმა გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილების შესახებ, ჯერ არ შესრულებულა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

„ქართული ოცნების“ გეგმის შესაბამისად შემუშავებული კონსტიტუციური კანონის პროექტი შეესაბამება ევროკომისიის რეკომენდაციას, თუმცა, პროექტის განმარტებითი ბარათი[45] გენერალური პროკურორის არჩევის ახალი წესის კრიტიკასაც შეიცავს. ინიციატორები განმარტებით ბარათში უთითებენ, რომ პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა კვალიფიციური წესით არჩევა ევროპულ კანონმდებლობებში იშვიათად გვხვდება, ხოლო კონკრეტულად გენერალური პროკურორის არჩევის მსგავსი წესი მხოლოდ უნგრეთში მოქმედებს. განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდა გენერალური პროკურორის არჩევის წესის ასეთ ცვლილებას და მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება ოპოზიციისგან ვერ მოისმინა, კონსტიტუციურ კანონის პროექტს მაინც აინიციირებს. განმარტებით ბარათში ინიციატივა ახსნილია იმით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ გენერალური პროკურორის ასარჩევად კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნა ჯერ „ევროკავშირი-საქართველოს 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგში“ აისახა, როგორც საქართველოს მიერ შესასრულებელი ერთ-ერთი ვალდებულება, ხოლო შემდგომ ევროპული საბჭოს 2022 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებაში, როგორც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი პირობა.

შესაბამისად, „ქართული ოცნების“ მტკიცებით, იგი მხარს უჭერდა მისთვის სამართლებრივად მიუღებელ საკანონმდებლო ცვლილებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად. გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილების კრიტიკა მოგვიანებითაც გაგრძელდა, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ მეორე მოსმენისთვის კონსტიტუციური კანონის პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანაზე დაიწყო საუბარი.[46]

შესაბამისად, ამ ეტაპზე რთულია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ „ქართული ოცნება“ პირველი მოსმენით დამტკიცებულ ინიციატივაზე საბოლოოდ შეჯერებულია. თუმცა, კონსტიტუციური კანონის პროექტის არსებული ვერსია ევროკომისიის რეკომენდაციას შეესაბამება.

---

[45] იქვე.

[46] radiotavisupleba.ge, *„ევროკავშირი „ცუდს“ გვაძალებს თუ საჭიროა? - რას ცვლის გენერალური პროკურორის არჩევის ახალი წესი“*, 20.10.2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32091966.html

პრიორიტეტი 4.1.
ანტიკორუფციული რეფორმა

ევროკომისიის რეკომენდაცია

გაძლიერდეს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც გააერთიანებს ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას, განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრის მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებს.[47]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან სამუშაო ჯგუფის შექმნა, ანტიკორუფციული ფუნქციების კონსოლიდაციის კონცეფციის მომზადების მიზნით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში პარლამენტის წევრების ყველა საპარლამენტო პარტიიდან, აგრეთვე მთავრობის ადმინისტრაციის, პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფა. შემუშავებული კანონის პროექტის პარლამენტისთვის წარდგენის ვადა [2022 წლის] არა უგვიანეს 19 ოქტომბრისა, ხოლო პარლამენტის მიერ მიღება 1-ელ დეკემბრამდე.

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე ევროკომისიის მოსაზრებაში დადებითად არის შეფასებული საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ გატარებული რეფორმები, თუმცა აქცენტირებულია ისეთი ანტიკორუფციული სააგენტოს არარსებობის პრობლემა, რომელიც დამოუკიდებლად შეისწავლიდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს, მოახდენდა დეკლარირებული შემოსავლის ვერიფიკაციას, აუდიტს გაუწევდა პოლიტიკური პარტიების დანახარჯს და უზრუნველყოფდა მამხილებელთა დაცვას.

ევროკომისიის მოსაზრების მიხედვით, კორუფციასთან ეფექტიანად გამკლავების მიზნით, აუცილებელია:

- გაფართოვდეს თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების წარდგენასთან დაკავშირებული კანონის გავრცელების არეალი.
- გაუმჯობესდეს ქონებრივი დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების შესრულების მონიტორინგის პროცესი.
- გაძლიერდეს მამხილებელთა დაცვის მექანიზმი.
- გაძლიერდეს პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსების კონტროლისთვის ადმინისტრაციული შესაძლებლობები.

[47] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

ევროკომისიის შეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს პრობლემურ ხასიათზე და აღნიშნულია, რომ ამ დრომდე არ არსებობს ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ეროვნული ანტიკორუფციული საბჭო 2019 წლის შემდეგ არ შეკრებილა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციის განმარტების დასასრულს ევროკომისია აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ მეტი უნდა გააკეთოს მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად.[48]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

გეგმის შესაბამისად, ანტიკორუფციული ფუნქციების კონსოლიდაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა[49] პირველი სხდომა 2022 წლის 9 აგვისტოს გამართა.[50] სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, გეგმის შესაბამისად, მოწვეული იყვნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პროკურატურის წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ორი ორგანიზაციის დასახელების უფლება მისცა. შესაბამისად, სურვილის მიუხედავად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ჯგუფში მონაწილეობა ვერ შეძლო.[51]

საქართველოს პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სამუშაო ჯგუფმა 2 სხდომა ჩაატარა.[52] სამუშაო შეხვედრებზე მომზადებული კანონის პროექტი, იურიდიულმა კომიტეტმა გეგმაში გაწერილი ვადის - 19 ოქტომბრის ნაცვლად, 26 ოქტომბრის თარიღით დაარეგისტრირა. ცვლილებების პროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით 2022 წლის 30 ნოემბერს მიიღო.

შესაბამისად, მმართველმა პარტიამ საკუთარი გეგმა ფორმალურად შეასრულა, თუმცა, სამუშაო პროცესში არ დაუშვა ყველა დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

„ქართული ოცნების“ გეგმის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ თავდაპირველად ინიციირებული კანონის პროექტი ფორმალურადაც არ ეხებოდა თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების საკითხს, მამხილებელთა დაცვას, პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგისთვის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. ინიციატივა ასევე არ

[48] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* 17.06.2022, p. 8, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lR9HnT
[49] საქართველოს პარლამენტის წერილი N 10196/2-7/22, 28.10.2022.
[50] parliament.ge, 09.08.2022, ხელმისაწვდომია https://parliament.ge/media/news/antikoruftsiuli-ghonisdziebebis-samushao-jgufma-gafartoebul-formatshi-pirveli-skhdoma-gamarta
[51] საქართველოს პარლამენტის წერილი 2-12264/22, 18.08.2022, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილება კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
[52] იქვე.

ითვალისწინებდა კანონპროექტით გათვალისწინებული ანტიკორუფციული ბიუროსთვის საგამოძიებო მანდატის მინიჭებას, რაც ევროკომისიის რეკომენდაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის მხარდასაჭერად (რომელიც თავს მოუყრიდა ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას და იქნებოდა კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული საგამოძიებო ინსტიტუტი), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საპარლამენტო ფრაქციებს და კომიტეტებს რეკომენდაციები წარუდგინა.[53] არასამთავრობო სექტორის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონის პროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს მათი რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინა.[54]

პარლამენტის მიერ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრის გარდა, ითვალისწინებს ბიუროსთვის შემდეგი ფუნქციების გადაცემას: თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი, მამხილებლის დაცვის ღონისძიებები, კანონის შესაბამისად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.

მოუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, კვლავ არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, რომელთა უგულებელყოფა ევროკომისიის მე-4 რეკომენდაციის შესრულებას უქმნის საფრთხეს. მათ შორის:

დამოუკიდებლობის არასათანადო გარანტიები

საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და დადგენილი სტანდარტების მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი უწყება უნდა იყოს დამოუკიდებელი, აპოლიტიკური, ჰქონდეს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, ღიაობის მაღალი ხარისხი.[55] ახლადშექმნილი ბიურო ინსტიტუციურად და ფუნქციურად დამოკიდებულია მთავრობაზე. სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისია (რომლის შემადგენლობასაც საქართველოს მთავრობის მეთაური ამტკიცებს)[56] საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 კანდიდატს. ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი იღებს.

შეზღუდული მანდატი

ევროკომისია თავის შეფასებაში საუბრობს ელიტური კორუფციის მაღალ მაჩვენებელსა და ქვეყანაში მოქმედ არაეფექტიან საგამოძიებო სისტემაზე. ვინაიდან ახლადშექმნილ

---

[53] democracyresearch.org, *კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილები არ პასუხებს ევროკავშირის 12 პუნქტიანი გეგმის მოთხოვნებს,* 17.11.2022, https://www.democracyresearch.org/geo/1083/, 17.11.2022

[54] parliament.ge, *„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონის პროექტი,* ხელმისაწვდომია https://parliament.ge/legislation/24960

[55] მაგალითად, OECD (2022), *Anti-Corruption Reforms in Georgia: Pilot 5th Round of Monitoring under the OECD Istanbul AntiCorruption Action Plan,* 03.08.2022, ხელმისაწვდომია https://doi.org/10.1787/d709c349-en,

[56] „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი მუხლი 20[16], პუნქტი 4, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/24960 , 26.10.2022

ანტიკორუფციულ ბიუროს არ ექნება საგამოძიებო მანდატი, შესაბამისად, არ იხსნება მაღალი დონის კორუფციის გამოძიებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ზედამხედველობის სისუსტე და ბუნდოვანება

კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, ანტიკორუფციული ბიურო ანგარიშვალდებულია მთავრობისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე.[57] უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს საზედამხედველო ფუნქციით აღჭურვა, მაშინ, როდესაც ეს ორგანო წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, ფორმალურად არსებობდა, არაეფექტიანი იქნება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 22 დეკემბრის N289-ე ბრძანებით, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატის შესარჩევად საკონკურსო კომისია შეიქმნა, ხოლო 2022 წლის 30 დეკემბრის N304-ე ბრძანებით განისაზღვრა საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.[58] კომისიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ახლადშექმნილი უწყების ხელმძღვანელის დასანიშნად 8 კანდიდატიდან 3 წარუდგინა - ზურაბ აზნაურაშვილი, რაჟდენ კუპრაშვილი და ელგუჯა მაკალათია. პრემიერ-მინისტრმა არჩევანი იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურის ყოფილ დირექტორზე რაჟდენ კუპრაშვილზე შეაჩერა.[59]

8 თებერვლის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა მე-4 რეკომენდაციის შესრულება: „შევქმენით ანტიკორუფციული ბიურო, რომლის მთავარი ამოცანა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და კორუფციის პრევენცია იქნება. ამასთანავე, თავდაპირველი რედაქციისგან განსხვავებით, ოპოზიციის აქტიური ჩართულობით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბიუროს ფუნქციები.“

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილ ანტიკორუფციული ღონისძიებების სამუშაო ჯგუფს არ გაუწევია სათანადო ძალისხმევა (შეხვედრების სიმცირე, პოლიტიკური ნების არარსებობა) ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად. მიუხედავად საქართველოს პარლამენტში პირველი მოსმენით განხილვის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნების ნაწილის (მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესება, თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების შემოწმება, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი) გათვალისწინებისა, ევროკომისიის რეკომენდაცია ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ, რომელიც გააერთიანებდა ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას, განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრიდა მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებს - ამ ეტაპზე სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

---

[57] იქვე. მუხლი 20[22]

[58] interpressnews.ge, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი ხვალ გამოცხადდება, 10.01.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YYpdN8

[59] interpressnews.ge, ანტიკორუფციულ ბიუროს რაჟდენ კუპრაშვილი უხელმძღვანელებს, 10.02.2023, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32265167.html

პრიორიტეტი 4.2.
სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერება

ევროკომისიის რეკომენდაცია

აღჭურვოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური იმ რესურსებით, რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.[60]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი ასევე მოამზადებს წინადადებებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების უზრუნველსაყოფად. შემუშავებული კანონის პროექტის პარლამენტისთვის წარდგენის ვადად [2022 წლის] არა უგვიანეს 19 ოქტომბერი, ხოლო - პარლამენტის მიერ მიიღება 1-ელ დეკემბრამდე განისაზღვრა.

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

განსხვავებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილისაგან, ევროკომისიის დოკუმენტში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერების პრიორიტეტს შედარებით უფრო ნაკლები ადგილი ეთმობა და უფრო ზოგადი ხასიათისაა. დოკუმენტის მიხედვით, უნდა გაძლიერდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტროლი და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურზე ზედამხედველობა, ასევე, მათი დამოუკიდებლობა და სათანადო რესურსებით აღჭურვა.[61]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი ანტიკორუფციული რეფორმების სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგის ნაწილი, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულებაც იყო. კანონის პროექტები, მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, 2022 წლის 19 ოქტომბერს დაინიციირდა. პროექტები მესამე მოსმენით 2022 წლის 30 ნოემბერს მიიღეს.

---

[60] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[61] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union*, გვ. 5, 17.06.2022, გვ.10, ხელმისაწვდომია: Georgia opinion and Annex.pdf (europa.eu)

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების მიხედვით, გაიზარდა სამსახურის საგამოძიებო მანდატი და მის საგამოძიებო ქვემდებარეობას დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, დევნა, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) გამოძიების უფლებამოსილება. სამსახურის საგამოძიებო მანდატი გავრცელდა ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტს. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის, ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევის ფაქტებს სამსახური იმ შემთხვევაში გამოიძიებს, თუ დანაშაულს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ჩაიდენს. განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების და სამოხელეო დანაშაულების კონკრეტულ მუხლებს უწყება მაშინ გამოიძიებს, თუ მის ქვემდებარეობაში არსებული სავარაუდო დანაშაულების გამოძიების დროს გამოვლინდება.

ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ცვლილებები შევიდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები გაიზარდა: შესაძლებელი გახდა ყველა თანამშრომლისთვის (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა), სპეციალური წოდების მინიჭება. ასევე, შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევებზე ხანდაზმულობის ვადის გაზრდა.

უწყებებზე ზედამხედველობის ეფექტიანობის გასაზრდელად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში გაიწერა, რომ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოთხოვნისთანავე მოსმენის ფარგლებში აღნიშნული სამსახურის უფროსები კომიტეტს, მათ შორის, წარუდგენენ: ა) ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე და მოსაზრებებს აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; ბ) მოსაზრებებს სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.“

საქართველოს პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, ანტიკორუფციული ღონისძიებების სამუშაო ჯგუფმა 2 შეხვედრა გამართა.[62] პარლამენტიდან მიღებული სამუშაო ჯგუფის ოქმების მიხედვით, ამ სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან დაკავშირებული პაკეტიც. რთულად წარმოსადგენია, რამდენად საკმარისი იყო 2 შეხვედრა, ასეთი ღონისძიებების განსახორციელებლად. ასევე, პარლამენტიდან მიღებული სამუშაო ჯგუფის ოქმების

[62] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N10196/2-7/22, დანართი N2, 28-10-2022

მიხედვით, სამუშაო ჯგუფებში ჩართული არ იყვნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლები.

„ქართულმა ოცნებამ“ შეასრულა საკუთარი გეგმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერების შესახებ.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კიდევ უფრო ფართოვდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო მანდატი. სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ უწყების 6 თვის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე არაერთხელ გაუსვა ხაზი რესურსების (მათ შორის, ოფისების) სიმცირეს, რაც ართულებდა უფლებამოსილების სწრაფად და ეფექტიანად შესრულებას. 2023 წლის თებერვალში სამსახურის 2 ახალი სამმართველო გაიხსნა, რაც უწყების საქმიანობის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სამოხელეო დანაშაულის (332-ე, 333-ე, 341-ე მუხლები) გამოძიების უფლებამოსილების მინიჭება ნაკლებად სავარაუდოა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მე-4 პრიორიტეტს, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უფლებამოსილების ერთი ორგანოს ხელში კონსოლიდაციაზე მიუთითებს. სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ისეთი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილების მინიჭება, რომელსაც აქამდე სხვა საგამოძიებო ორგანო იძიებდა, შესაძლოა, უფლებამოსილების დუბლირებისა და რესურსების არარაციონალურ ხარჯვასაც იწვევდეს. ამ ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და ეფექტიანი ზედამხედველობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ცვლილება, შესაძლოა ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად პასუხებს ევროკომისიის რეკომენდაციებს, რაც გამოიხატა სამსახურში დასაქმებული პირებისთვის სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფაში.

უწყებებზე ზედამხედველობის ეფექტიანობის გასაზრდელად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესული ცვლილებები ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან რეგლამენტით ისედაც არსებობდა ვალდებულება, ანგარიშვალდებული პირის პარლამენტის მიერ მოთხოვნისთანავე მოსმენაზე.

ორგანიზაციის შეფასებით, უწყებების სათანადო რესურსებით აღჭურვასთან ერთად, ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად, მნიშვნელოვანია უკვე არსებული საზედამხედველო მექანიზმების აქტიურად გამოყენება და სამსახურების პოლიტიკური გავლენისგან თავისუფლება.

შესაბამისად, ამ მიმართულებით ევროკომისიის პრიორიტეტის შესრულებაზე დასკვნის გასაკეთებლად, მათ საქმიანობაზე ხანგრძლივი დაკვირვებაა საჭირო.

პრიორიტეტი 5. დეოლიგარქიზაცია

ევროკომისიის რეკომენდაცია

„დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც მიღწეული უნდა იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრით.[63]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ყველა საპარლამენტო პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფი იმუშავებს დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება [2022 წლის] არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა და პარლამენტის მიერ მიიღება არა უგვიანეს 29 ნოემბრისა.[64]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

დეოლიგარქიზაციის შესახებ ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოში ინტერპრეტაციების საგანი გახდა. დეოლიგარქიზაცია ევროკომისიამ პრიორიტეტად არა მხოლოდ საქართველოს, უკრაინასა (მიღებული კანონის ეფექტიანად აღსრულების კუთხით) და მოლდოვასაც განუსაზღვრა. დეოლიგარქიზაციის შესახებ მსჯელობა საქართველოში დამატებითი პოლიტიკური დაპირისპირების საგანი გახდა.

საკითხი ბუნდოვანი დარჩა ევროკავშირის სხვადასხვა წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული განმარტებების მიუხედავად. ერთი მხრივ, ევროკომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ საქართველოს დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის ვენეციის კომისიისთვის გაგზავნა შესთავაზა და განმარტა, რომ „ევროკავშირი არ ავარჩევთ, რომელია კარგი ოლიგარქი და რომელია ცუდი ოლიგარქი.“[65] ხოლო, მეორე მხრივ, ევროპარლამენტმა პირდაპირ[66] მიუთითა ბიძინა ივანიშვილზე, როგორც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე არაჯანსაღი გავლენების მქონე ადამიანზე.

---

[63] ec.europa.eu, Opinion on the EU membership application by Georgia. 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[64] civil.ge, ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა. 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[65] netgazeti.ge, *EU საქართველოს სთავაზობს დეოლიგარქიზაციის კანონის ვენეციის კომისიაში გაგზავნას,* 15.11.2022, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/640926/

[66] europa.eu, P9_TA(2022)0239 *Violations of media freedom and safety of journalists in Georgia. European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia*, (2022/2702(RSP)). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Kklq8K

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

2022 წლის 4 აგვისტოს „დეოლიგარქიზაციის“ საკითხზე კანონპროექტის შემუშავების მიზნით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა პირველი სხდომა გამართა. საერთო ჯამში, გაიმართა მხოლოდ 2 სამუშაო შეხვედრა,[67] რაც არ შეიძლება მსგავსი ტიპის კანონმდებლობაზე სამუშაოდ საკმარისად ჩაითვალოს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების - „ქართული ოცნების“, „გირჩის“, „საქართველოსთვის“ და „ევროპელი სოციალისტების“ წევრები, მთავრობის ადმინისტრაციის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

კანონის პროექტი, რომელიც „საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან პოლიტიკური წონის მქონე პირების (ოლიგარქების) გადაჭარბებულ გავლენასთან დაკავშირებული საფრთხის ეროვნული უსაფრთხოებისთვის თავიდან აცილების შესახებ“, (ე.წ. ოლიგარქების შესახებ) უკრაინული კანონის ანალოგია, საქართველოს პარლამენტში 2022 წლის 5 ოქტომბერს დაინიციირდა, 2023 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით კი, 2 მოსმენით არის მიღებული. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს პარლამენტი ვენეციის კომისიის დასკვნას ელოდება.

კანონპროექტის მიხედვით, პირი ოლიგარქად მიიჩნევა, თუ:

ა) ის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს;

ბ) ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს;

გ) ის არის იმ მეწარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია, და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან აუმჯობესებს;

დ) მისი და იმ მეწარმე იურიდიული პირების აქტივების დადასტურებული ოდენობა, სადაც ის ბენეფიციარია, შესაბამისი წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1 000 000-ჯერ აღემატება შრომისუნარიანი პირებისთვის დადგენილ საარსებო მინიმუმს.

კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიის მიხედვით, ოლიგარქთა რეესტრს საქართველოს პარლამენტი აწარმოებდა, თუმცა პროექტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვის დროს, ანრი ოხანაშვილის შეთავაზების საფუძველზე, კანონის პროექტმა ცვლილება განიცადა და ოლიგარქთა რეესტრის შედგენაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტად საქართველოს მთავრობა განისაზღვრა.[68]

მმართველმა პარტიამ საკუთარი გეგმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით - თარგმნა რა უკრაინული კანონი ე.წ. ოლიგარქების შესახებ, ქართული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ ფორმალურად შეასრულა.

[67] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი, N10196/2-7/22, 28.10.2022

[68] Parliament.ge, *პარლამენტმა „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით განიხილა,* 15.11.22, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JbDNuB

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების სამოქმედო გეგმაში, სამოქალაქო საზოგადოებამ დეოლიგარქიზაციის რეკომენდაციის შესრულების წინაპირობად 12 პუნქტიანი ჩამონათვალის ყველა სხვა პირობის შესრულება დაასახელა, რაც მათი შეფასებით, ავტომატურად გამოიწვევდა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე ოლიგარქიული გავლენის შემცირებას.[69] შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოებას დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შესასრულებლად, საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა არ დაუსახელებია.

ხელისუფლებამ პროცესის დასაწყისშივე ღიად განაცხადა, რომ დეოლიგარქიზაციის საკითხი და შესაბამისი კანონის პროექტი ბიძინა ივანიშვილს არ შეეხებოდა.[70] დაუფარავად გაკეთდა განცხადებები, რომ კანონი „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ რეალურად ოპოზიციას დააზარალებდა, ვინაიდან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებით, ოლიგარქები: დავით კეზერაშვილი, ავთანდილ წერეთელი („ჭუტა“), მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და მიხეილ საკაშვილი „ოპოზიციის მხარეს იყვნენ“.[71] ამავდროულად, ოპოზიციის განცხადებით, საქართველოში ერთადერთი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილია.[72] შესაბამისად, დეოლიგარქიზაციის შესახებ მსჯელობა კონკრეტული პიროვნებების ოლიგარქებად მონიშვნას არ გასცდენია. თემატური მსჯელობა არ გამართულა იმის შესახებ, თუ რა იგულისხმებოდა „ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებულ გავლენაში“, რაზეც ევროკავშირი უთითებდა და როგორ შეიძლებოდა ამ გავლენის აღმოფხვრა.

„დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, „კანონპროექტი შემუშავებულია ანალოგიური შინაარსის მქონე უკრაინის კანონის მაგალითზე და არსობრივად იმეორებს უკრაინის კანონის ნორმებს“.[73] **ნიშანდობლივია, რომ უკრაინულმა ე.წ. ოლიგარქების შესახებ კანონმა თავის დროზე უკრაინული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.** [74]

„ქართულმა ოცნებამ“ სცადა დეოლიგარქიზაციის საკითხი სამართლებრივ კაზუისტიკამდე დაეყვანა. მმართველმა პარტიამ თავდაპირველად უარი თქვა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტის ვენეციის კომისიისთვის გაგზავნაზე იმ მოტივით, რომ მათ უკრაინის კანონპროექტის აბსოლუტური ანალოგი შეიმუშავეს და მზად იყვნენ გაეთ-

---

[69] Osgf.ge, *12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის, ნაბიჯი 5*, გვ.9, ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2022/07/evropisken_08.pdf

[70] bm.ge, *„ივანიშვილი არ არის ოლიგარქი, ის მეცენატია“ - პრემიერი ოლიგარქის ცნებას განმარტავს.* 24.06.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EnJpQJ

[71] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=552497434422470 6

[72] interpressnews.ge, *„ანა ნაცვლიშვილი „ქართულ ოცნებას“ - არ უთქვამთ, რომ რეესტრი უნდა შეადგინოთ და „კუდიანებზე ნადირობა“ გამოაცხადოთ - საქართველოში 150 ადამიანიც რომ შეიყვანოთ ოლიგარქთა რეესტრში, ევროკავშირს ერთი ოლიგარქი ჰყავს შეყვანილი“*, 31.10.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I6F1Xq

[73] parliament.ge, *განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „დეოლიგარქიზაციის შესახებ“.* 05.10.2022 ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/307846

[74] Institute of Legislative Ideas, *Закон про олігархів чи популістична ширма для ручного управління країною,* ხელმისაწვდომია: https://izi.institute/en/zakon-pro-oligarhiv-chy-populistychna-shyrma-dlya-ruchnogo-upravlinnya-krayinoyu/

ვალისწინებინათ ვენეციის კომისიის სამართლებრივი შენიშვნები უკრაინულ კანონთან დაკავშირებით.[75]

2022 წლის 21 ნოემბერს, იმ დროს, როდესაც კანონპროექტი უკვე ორი მოსმენით იყო მიღებული, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ ხელისუფლებას მოუწოდა, დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებამდე მოეთხოვათ და შეესრულებინათ ვენეციის კომისიის დასკვნა.[76] 2022 წლის 1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი ვენეციის კომისიასა და ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ერთობლივი სამართლებრივი მოსაზრებისთვის გადაუგზავნა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, მმართველ პარტიას არ გამოუჩენია სათანადო ძალისხმევა ევროკომისიის მე-5 პუნქტის შესასრულებლად. კერძოდ, შინაარსობრივად არ განუხილავს, რა პრობლემებს გადაჭრის მათ მიერ შემუშავებული კანონპროექტი; რა პოლიტიკური რეალობაა ამ მხრივ ქვეყანაში. მმართველის პარტიის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე, არსებობს საფრთხე, რომ კანონპროექტი მიღების შემთხვევაში გამოყენებული იქნება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. შესაბამისად, ვერ ჩაითვლება, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ევროკომისიის რეკომენდაციის სულისკვეთებას შეესაბამება.

[75] netgazeti.ge, *პარლამენტმა „დეოლიგარქიზაციის“ კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღო,* 16.11.2022, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/641363/

[76] Tabula.ge, *„EU: დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებამდე მოითხოვეთ და შეასრულეთ ვენეციის კომისიის დასკვნა“,* 21.11.22, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/693927-eu-deoligarkizatsiis-kanonis-mighebamde

პრიორიტეტი 6.
ორგანიზებული დანაშაული და სამართალდამცავ უწყებებზე ზედამხედველობის გაძლიერება

ევროკომისიის რეკომენდაცია

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული.[77]

„ქართული ოცნების“ გეგმა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან სამუშაო ჯგუფის შექმნა, პარლამენტის წევრების ყველა საპარლამენტო პარტიიდან, აგრეთვე პროკურატურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების წევრობით.

სამუშაო ჯგუფი [2022 წლის] პირველ ნოემბრამდე მოამზადებს არსებული მდგომარეობის სიღრმისეულ შეფასებას და შეიმუშავებს წინადადებებს ხარვეზების გამოსწორებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე.[78]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

დოკუმენტში ორგანიზებული დანაშაულის საკითხს ვრცელი ქვეთავი ეთმობა და აღნიშნულია, რომ საქართველოს რატიფიცირებული აქვს გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, ასევე, მისი დამატებითი ოქმები. დოკუმენტის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსი (მათ შორის, ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების ნაწილში) ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. თუმცა, შესაბამისი ნორმების პრაქტიკული განხორციელება და აღსრულება პრობლემურია.[79] ევროკომისიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2021 წლის სექტემბერში საქართველომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა მიიღო.

მოსაზრების მიხედვით, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული მსჯავრდებების რიცხვი დანაშაულებრივი ბაზრის სავარაუდო მოცულობასთან შედარებით მცირეა. ასევე, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა, მაინც შედარებით დაბალია ორგანიზებული

[77] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800,

[78] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[79] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union,* Brussels, ხელმისაწვდომია https://bit.ly/3FBDzLr, გვ.8, 17.6.2022.

დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე დასრულებული სისხლის სამართლებრივი საქმეების რიცხვი. ბოლო სამი წლის განმავლობაში ძალიან დაბალი იყო ადამიანთა ტრეფიკინგის საქმეებზე დასრულებული გამოძიებების რიცხვი.[80]

შესაბამისად, ევროკავშირთან დაახლოების მიზნით, აუცილებელია:

- ფინანსური დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი ჩარჩოს ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება საფრთხის დეტალური შეფასებების საფუძველზე, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების დამაჯერებელი უზრუნველყოფის გზით[81]
- სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და მათზე ზედამხედველობის გაძლიერება.[82]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

„ქართული ოცნების“ გეგმა არ ითვალისწინებდა სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის გაძლიერების მიმართულებით მუშაობას. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება 28 ივლისს მიიღო. სამუშაო ჯგუფმა 8 შეხვედრა ჩაატარა და შემდეგი სამუშაო მიმართულებები დაგეგმა:[83]

- ორგანიზებული დანაშაულის (მათ შორის, „კანონიერი ქურდების“, „ქურდული სამყაროს“ წევრების, მათი მხარდამჭერების) წინააღმდეგ ბრძოლა
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა
- ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჯგუფის მუშაობაში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების გარდა, სამი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ჩართული (საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი, საია და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)). თუმცა, საიამ და IDFI-მ ჯგუფში მუშაობა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ISFED-თან დაკავშირებით მიღებული დისკრიმინაციული გადაწყვეტილების გამო შეაჩერეს.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები არ გამოქვეყნებულა, რაც განსახილველი საკითხების სპეციფიკურობით აიხსნა. საქართველოს პარლამენტიდან მიღებული წერილის მიხედვით, *„რაც შეეხება სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, გაცნობებთ, რომ. . . განსახილველი საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დახურვის შესახებ. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ამავე მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ამ შეხვედრების ოქმები არ ქვეყნდება.“*

ჯგუფმა გეგმაში მონიშნული ცალკეული მიმართულების მიხედვით ათეულობით გადასადგმელი ნაბიჯი/წინადადება წამოაყენა და თითოეული ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო დაასახელა. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული

[80] იქვე, გვ. 9.
[81] იქვე. გვ.17.
[82] იქვე.
[83] Parliament.ge, *წინადადებები/შემდგომი ნაბიჯები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით,* 31.10.2022 ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/309867

დოკუმენტი საკმაოდ დეტალურად ეხება სამართალდამცავი ორგანოების მიერ განსახორციელებელ საქმიანობებს.[84]

2022 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. გამოქვეყნებულ დოკუმენტში წარმოდგენილია წინადადებები/შემდგომი ნაბიჯები, რომელიც მოიცავს თითოეული ზემოაღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ უწყებას/უწყებებსა და შესრულების ვადებს.[85]

შესაბამისად, „ქართულმა ოცნებამ" თავისი გეგმა, რომელიც სრულად არ პასუხობდა ევროკომისიის პრიორიტეტს, ფორმალურად შეასრულა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიის მე-6 რეკომენდაცია ორგანიზებული დანაშაულის სფეროში საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებისა და კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის გარდა, სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის გაძლიერებასაც შეეხებოდა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგში ეს საკითხი საერთოდ არ მოხვდა. არადა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა რეკომენდაციები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაძლიერებას ეხებოდა, იმ მოტივით არ განიხილა, რომ ამ საკითხებზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი იმუშავებდა.[86]

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციისა[87] და პარლამენტიდან მიღებული პასუხის ანალიზის საფუძველზე[88] ირკვევა, რომ სამუშაო ჯგუფი კონცენტრირებული იყო მხოლოდ ორგანიზებული დანაშაულის საკითხზე, მაშინ როდესაც ევროკომისიის მე-6 რეკომენდაცია ორგანიზებული დანაშაულის სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა, სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის გაძლიერებასაც შეეხებოდა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, „პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შეიქმნა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა გამოვლენილი ხარვეზების სიღრმისეული შეფასება, მასზე დაყრდნობით კი შეიმუშავა 2023-2024 წლების გეგმა, რომელიც 76 აქტივობას მოიცავს. კომიტეტმა უკვე დაიწყო ამ გეგმის შესრულების მონიტორინგი." პარლამენტის თავმჯდომარეს ყურადღება არ გაუმახვილებია ევროკომისიის მე-6 რეკომენდაციის იმ ნაწილზე, რომელიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას ეხება.

შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, პრიორიტეტის ის ნაწილი, რაც სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის გაძლიერებას გულისხმობდა, ამ ეტაპზე შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

---

[84] იქვე.

[85] Parliament.ge, *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგები - წინადადებები/შემდგომი ნაბიჯები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით,* ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/309867, 02.11.2022

[86] სწორედ ამიტომ, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა რეკომენდაციები წარუდგინა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3G0mfkl, 18.10.2022.

[87] Parliament.ge, ხელმისაწვდომია https://parliament.ge/legislation/25016, 31.10.2022.

[88] საქართველოს პარლამენტის წერილი, N10194/2-7/22, 28.10.2022.

პრიორიტეტი 7.
პროფესიული, პლურალისტური, დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველყოფა

ევროკავშირის რეკომენდაცია

უფრო ძლიერი ძალისხმევის გაწევა თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ მედიის მფლობელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცედურები შეესაბამებოდეს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს. დაიწყოს მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიება ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის ფაქტებზე.[89]

„ქართული ოცნების“ გეგმა

პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ.[90]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკომისიის მოსაზრებაში ხაზგასმულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძირითადად პლურალისტური მედია გარემოა, ქვეყანაში გახშირდა ოპოზიციური მედია საშუალებების მესაკუთრეების წინააღმდეგ გამოძიებები და სასამართლო პროცესები, მზარდია ჟურნალისტების დაშინებისა და მათ წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური და ვერბალური თავდასხმების რიცხვი - გამოძიების პროცესი კი საკმარისად ეფექტიანი არ არის. ამასთან, მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენებს მსუსხავი ეფექტი აქვთ კრიტიკულ მაუწყებლობაზე. გარდა ამისა, მედიის მარეგულირებელი კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ ცვლილებებს ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოებლად.[91]

---

[89] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia,* 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800,

[90] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[91] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels,* 17.06.2022, გვ. 10, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

ქართული ოცნების გეგმის მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნაწილი განსაკუთრებული ბუნდოვანებით გამოირჩეოდა. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას არც გეგმის შესრულების კონკრეტული ვადები დაუსახელებია, და არც რაიმე კონკრეტული მოქმედებები, „შესაბამის საქმეებზე“ ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულების გარდა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა შეკითხვით მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს ქართული ოცნების გეგმის შესაბამისად, რა სამუშაოები შესრულდა ევროკომისიის მე-7 რეკომენდაციის შესასრულებლად.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2022 წლის 3 ნოემბრით დათარიღებული პასუხის თანახმად, *„ამ საკითხზე რომელიმე საგანგებო სამუშაო ფორმატის (თემატური მოკვლევა, სამუშაო ჯგუფი და სხვა) შექმნა გათვალისწინებული არ ყოფილა. აქვე გაცნობებთ, რომ უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც მუშაობა გაგრძელდება საჯარო ფორმატში, რაც მოსალოდნელია ახლო მომავალში.“*[92]

პარლამენტიდან მიღებული წერილის შემდეგ, საჯარო ფორმატში ცნობილი არ გამხდარა ხელისუფლების მიერ ევროკომისიის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გაწეული სამუშაოს შესახებ, თუმცა დაახლოებით ამავე პერიოდში თბილისის სააპელაციო სასამართლომ სასჯელი დაუმძიმა ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორს ნიკა გვარამიას, მაშინ როდესაც მისი სისხლისსამართლებრივი საქმე ევროკავშირის სტრუქტურების განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშაა.

შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველყოფის ნაწილში თავისი გეგმაც არ შეუსრულებია.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში ერთადერთი წინსვლა, რაზეც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უთითებს[93], „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებია.[94] აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად შედგენილ „ქართული ოცნების“ გეგმაში თავდაპირველად გათვალისწინებული არ იყო.

საკანონმდებლო ცვლილებები გააკრიტიკეს მედიის თავისუფლების თემაზე მომუშავე ორგანიზაციებმა, როგორც პროცესის სწრაფად და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გარეშე მიღების, ასევე შინაარსობრივი ხარვეზების გამოც. მედიის ადვოკატირების კოალიცია მიიჩნევდა, რომ საქართველოს მოეთხოვებოდა არა ევროდირექტივის მოთხოვნებთან ბლანკეტურად თავსებადი საკანონმდებლო ცვლილებები, არამედ ევროდირექტივის მიზანთან მაქსიმალურად მიახლოება მედიის მუშაობისთვის ხელ-

[92] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი 03.11.2022, N10380/2-7/22

[93] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41h5hqX

[94] parliament.ge, *„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე* 07.09.2022 ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/24615

საყრელი გარემოს შექმნით.[95] ცვლილებების მიხედვით, შეიცვალა არასწორი ფაქტების გადაცემასთან დაკავშირებული დავების მოგვარების წესი და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს დაემატა „პასუხის უფლება“ (მუხლი 52[1]). აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი კანონიერი ინტერესები შეილახა მაუწყებლობის პროგრამაში არასწორი ფაქტების გადაცემით, შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარის შემდეგ საჩივრით პირდაპირ კომუნიკაციების კომისიას ან სასამართლოს მიმართოს. ცვლილების მიხედვით, კომისიის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება აღარ გამოიწვევს კომისიის სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას (მუხლი 8.7).

მიღების შემთხვევაში, დამოუკიდებელი მედია საშუალებებისთვის გამანადგურებელი ეფექტი ექნებოდა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ „რუსული კანონების“ სახელით ცნობილ კანონპროექტებს,[96] რომლებიც ჟურნალისტების ნაწილის უცხო ქვეყნის გავლენის აგენტებად მონიშვნას ისახავდა მიზნად.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებას არ გაუწევია ძალისხმევა შეეცვალა მდგომარეობა მედია დამოუკიდებლობის მიმართულებით. პირიქით, 2022 წლის 2 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკა გვარამიასთვის სასჯელის დამძიმებამ დამატებითი კითხვები გააჩინა. ნიკა გვარამიას საქმე ევროპარლამენტის რეზოლუციაშიც არის ნახსენები,[97] რომელშიც მითითებულია: „[ევროპარლამენტი] მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები კრიტიკული მედია საშუალებების თანამშრომლების, მათი მფლობელების და ოჯახის წევრების წინააღმდეგ; ამ მხრივ, ხაზს უსვამს მთავარი არხის დირექტორის ნიკა გვარამიას და სხვა მედია საშუალებების - ფორმულას და ტვ პირველის დირექტორებისა და დამფუძნებლების საქმეებს; გამოხატავს ღრმა წუხილს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ 2 ნოემბერს, მიუხედავად საეჭვო ბრალდებისა და ამ საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეკითხვებისა - განსაკუთრებით მსჯავრდების დროსა და ბრალდებასთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ნიკა გვარამიას სასჯელი.“[98]

გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლოში განახლდა ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელის დავით კეზერაშვილის საქმის განხილვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კეზერაშვილს უკვე დააკისრა 5 მილიონი ევროს გადახდა და არსებობს საფუძველი, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ყადაღა დაედოს კეზერაშვილის საკუთრებაში არსებულ ტელეკომპანია „ფორმულას“.[99]

ევროპარლამენტის რეზოლუციაში მკაცრადაა გაკრიტიკებული საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობა 2021 წლის 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებით, რასაც ჟურ--ნალისტების დაზარალება მოჰყვა: „[ევროპარლამენტი] გმობს 2021 წლის 5 ივლისს

[95] civil.ge, *პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები დაამტკიცა,* 22.12.2022. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/519785

[96] radiotavisupleba.ge, *„ვის მოუწევს უცხოური გავლენის აგენტად დარეგისტრირება - „ხალხის ძალის“ კანონპროექტი,* 14.02.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ih8jCI

[97] europarl.europa.eu, *Annual implementing report on the EU association agreement with Georgia, European Parliament resolution of 14 December 2022 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia* P9_TA(2022)0442.

[98] იქვე, პარა. 24.

[99] formulanews.ge, *„სააპელაციომ დავით კეზერაშვილის საქმეზე დანიშნული სხდომა 24 იანვრამდე გადადო“,* 21.12.2022 ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/81451

ძალადობის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ ეფექტიანი გამოძიების და მსჯავრდების ნაკლებობას“ - აღნიშნულია რეზოლუციაში.[100]

ევროპარლამენტის აღნიშნულ რეზოლუციას წინ უსწრებდა 2022 წლის 9 ივნისის ევროპარლამენტის რეზოლუცია[101] საქართველოში მედია თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ, სადაც უმკაცრესადაა შეფასებული საქართველოში მედიის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა. რეზოლუციაში მითითებულია: გადაიხედოს ნიკა გვარამიას სასჯელი; საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიცვას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უმაღლესი სტანდარტები, როგორიცაა მედიის თავისუფლება; უნდა შეზღუდოს საზოგადოების მონაწილეობის წინააღმდეგ სტრატეგიული საჩივრების გამოყენება, რაც მიმართულია უფლებადამცველებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ და ზღუდავს მათ დამოუკიდებელ მუშაობას; ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს მედიის თავისუფლებაში ჩარევისგან ან პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო საქმეების წარმოებისგან მედიის მფლობელებისა და წარმომადგენლების წინააღმდეგ; გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ნაკლოვანებაზე იმ პირების მიმართ, ვინც პასუხისმგებელია ჟურნალისტებზე ძალადობაზე 2021 წლის 5 ივლისს თბილისში ღირსების მარშის დროს, სადაც ძალადობრივი თავდასხმის შედეგად ერთი ჟურნალისტი დაიღუპა; ევროპის საბჭომ და დემოკრატიულმა პარტნიორებმა უნდა განიხილონ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილზე პერსონალური სანქციების დაწესება კრემლთან მისი კავშირებისა და მთავრობაში მისი გავლენების გამო ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების დევნისთვის.

მნიშვნელოვანი დეტალია ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით დაინიციირდა, თუმცა, კანონპროექტის განხილვის პროცესი არაინკლუზიურობის და ხარვეზიანი შინაარსის გამო გააკრიტიკეს.[102]

იმის დასადგენად, თუ რამდენად შესრულდა ევროკომისიის მე-7 რეკომენდაცია, ევროკომისია საკანონმდებლო ცვლილებების შეფასებასთან ერთად, სავარაუდოდ გაითვალისწინებს, რამდენად შეესაბამება მედია მფლობელების და მენეჯერების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი საქმეები ევროკავშირის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, პროგრესი არ ყოფილა.

[100] europarl.europa.eu, *Annual implementing report on the EU association agreement with Georgia, European Parliament resolution of 14 December 2022 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia* P9_TA(2022)0442.
[101] europarl.europa.eu, *European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia* (2022/2702(RSP)), 09.06.2022, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.html
[102] Facebook.com, *მედიის ადვოკატირების კოალიციის შეფასება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე*, 21.12.2022 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IHpsHh

პრიორიტეტი 8.
მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება

ევროკომისიის რეკომენდაცია

სწრაფი ნაბიჯები გადადგას მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის გასაძლიერებლად, მათ შორის, ძალადობაში დამნაშავეების და წამქეზებლების პასუხისგებაში უფრო ეფექტურად მიცემის გზით.[103]

„ქართული ოცნების“ გეგმა

პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ.[104]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

ევროკომისია ძირითადად დადებითად აფასებს დისკრიმინაციის, სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ არსებულ ქართულ კანონმდებლობას, თუმცა პრობლემად მიაჩნია კანონმდებლობის ეფექტურად აღუსრულებლობა.[105] მოსაზრებაში ყურადღება გამახვილებულია ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების თვალთვალზე, მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროების შესახებ უშედეგო გამოძიებაზე, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი ან ქვიარი (LGBTIQ) პირების უფლებების დაცვაზე საქართველოში და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, განსაკუთრებით 2021 წლის ივლისის მოვლენების გათვალისწინებით.[106]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს საჯარო ინფორმაციის გაცემის თხოვნით მიმართა. ჩვენი კითხვა იყო - რომელი სისხლის სამართლის საქმეები შეირჩა ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციის და „ქართული ოცნების“ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად და რა კრიტერიუმით მოხდა მათი შერჩევა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა

---

[103] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia,* 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800,

[104] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[105] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia. P.10,* 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[106] იქვე.

გვიპასუხა: *„ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად. როგორც მოგეხსენებათ, ამ საკითხზე რომელიმე საგანგებო სამუშაო ფორმატის (თემატური მოკვლევა, სამუშაო ჯგუფი და სხვა) შექმნა გათვალისწინებული არ ყოფილა. აქვე გაცნობებთ, რომ უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც მუშაობა გაგრძელდება საჯარო ფორმატში, რაც მოსალოდნელია ახლო მომავალში."*[107]

საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში არ იძებნება ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციის შესრულების კუთხით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ მუშაობის „საჯარო ფორმატში" გაგრძელების შესახებ ინფორმაცია.

შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, „ქართულ ოცნებას" ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით საკუთარი გეგმა არ შეუსრულებია.

მმართველმა პარტიამ ევროკომისიის მე-8 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში მოაქცია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პროექტი 2022-2030 წლებისთვის,[108] თუმცა რეკომენდაციების შესრულების გეგმაში, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" თავდაპირველად წარმოადგინა, სტრატეგია ნახსენები არ ყოფილა. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებული უნდა ყოფილიყო ევროკომისიის რეკომენდაციების მიღებამდე ბევრად ადრე[109].

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიის მე-8 რეკომენდაცია არაორაზროვნად უთითებს მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ დაგეგმილი ძალადობის ორგანიზატორების იდენტიფიცირებისა და პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობაზე, „ქართული ოცნების" გეგმა მხოლოდ „ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ" ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულებით შემოიფარგლა.

2022 წლის 7 სექტემბერს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში ევროკავშირი მიესალმა 2022 წელს „თბილისი პრაიდთან" დაკავშირებული ღონისძიებების მშვიდობიან გარემოში ჩატარებას, თუმცა, ხაზგასმით მოითხოვა 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორების პასუხისგებაში მიცემა, პრაიდის კონტექსტში მომხდარი ძალადობის სწრაფი და შედეგიანი გამოძიება და პრევენციული ზომების გაძლიერება.[110]

შესაბამისად, ევროკომისიის რეკომენდაციაში უმთავრესად ყურადღება მახვილდება სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ორგანიზატორების პასუხისგებაში მიცემაზე, ამ დანაშაულების ეფექტიან გამოძიებაზე და პრევენციულ ღონისძიებებზე. „ქართული ოცნების" გეგმა კი ფოკუსირებულია მხოლოდ გამოძიებაში მყოფი საქმეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე, რაც ავიწროებს ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციას, სრულად არ შეესაბამება მის სულისკვეთებასა და შინაარსს და არ შესრულებულა.

---

[107] საქართველოს პარლამენტის აპარატის 3 ნოემბრის წერილი N10380/2-7/22

[108] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში*, 08.02.2023. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XJqLcN

[109] democracyresearch.org, *DRI-ის მოსაზრებები ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შესახებ*, 13.12.2022, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1086/

[110] eeas.europa.eu, *ერთობლივი განცხადება პრესისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის შემდეგ*, ხელმისაწვდომია: bit.ly/3FDeDE1

პრიორიტეტი 9.
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა

ევროკავშირის რეკომენდაცია

გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ.[111]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის და გენდერული თანასწორობის საბჭო, რეკომენდაციის შესასრულებლად, წარმართავენ აქტიურ სამუშაო პროცესს, რათა მომზადდეს საკანონმდებლო წინადადებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კიდევ უფრო ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად. გეგმის მიხედვით, შესაბამისი კანონპროექტების პაკეტი პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არა უგვიანეს [2022 წლის] 5 ოქტომბრისა, ხოლო პარლამენტის მიერ მიიღება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.[112]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, თუმცა მთავარი პრობლემა კანონმდებლობის აღსრულებაა. დოკუმენტში საუბარია ასევე გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებზე, რომლის მიზანი უთანასწორობის აღმოფხვრაა. ამასთან, აღნიშნულია, რომ გენდერული ძალადობის მასშტაბები, მათ შორის, ოჯახური ძალადობა და ფემიციდი, კვლავაც მთავარი გამოწვევაა და ქალები კვლავ აწყდებიან უთანასწორობას შრომის ბაზარზე.

დოკუმენტში განსაკუთრებული აქცენტი სტამბოლის კონვენციაზეა გაკეთებული. აღნიშნულია ისიც, რომ საჭიროა შემდგომი ჩართულობა, მათ შორის, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. მოსაზრებაში საუბარია ასევე, უმცირესობების უფლებების დაცვაზე, მათ შორის, 2021 წლის ივლისის მოვლენების გათვალისწინებით.[113]

---

[111] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia,* 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800,

[112] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა*, 01.07.2022 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[113] ec.europa.eu, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union. Brussels, pგვ.10-11, 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით ფემიციდის შესახებ სისტემური მოკვლევა 2022 წლის 8 სექტემბერს დაანონსდა.[114] სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პარლამენტში, რომელმაც დააინიციირა შესაბამისი კანონის პროექტები („გენდერული თანასწორობის შესახებ", საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის კანონის პროექტები),[115] შეიქმნა არაერთი თემატური მოკვლევის ჯგუფი და მომზადდა ანგარიშები.

კანონპროექტების პაკეტი პარლამენტს ინიციატივის წესით უნდა წარდგენოდა არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა, ხოლო 2022 წლის 15 ნოემბრისთვის პარლამენტს ეს კანონპროექტები უნდა მიეღო. საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტები ერთი თვის დაგვიანებით, 2022 წლის 15 დეკემბრისთვის მიიღო, **რითაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეასრულა საკუთარი გეგმა.**

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

გენდერული თანასწორობის პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით:[116]

- ყველა საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენისას, მათ წარმდგენებს გაუჩნდებათ კანონშემოქმედებითი ინიციატივების წინასწარ შეფასების ვალდებულება გენდერულ თანასწორობაზე მოსალოდნელი გავლენის კუთხით
- საკანონმდებლო აქტებით გაიწერა შესაბამისი დებულებები ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებისა და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით
- ცვლილებები ითვალისწინებს და დამატებით დაარეგულირებს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა აბორტის იძულება, პროსტიტუციით დაკავებული არასრულწლოვანის მომსახურებით სარგებლობა და სხვა.

დამატებით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის" დამტკიცების შესახებ", და „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია".[117] სწორედ ზემოთ ხსენებული საკანონმდებლო პაკეტი და ნახსენები დოკუმენტები დაასახელა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციის შესრულების დასაბუთებად.[118]

---

[114] parliament.ge, *საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით ფემიციდის შესახებ სისტემური მოკვლევა იწყება,* 08.09.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xGdTK4

[115] parliament.ge, *„გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე",* 05.10.2022 ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/24780

[116] parliament.ge, *ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ანგარიში,* 2022, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/319213

[117] იქვე.

[118] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023, ხელმისაწვდომია: bit.ly/3yQlCpn

საგულისხმოა, რომ 2022 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში შეიქმნა რამდენიმე თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომლის მთავარი საკითხი ქალების უფლებების დაცვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაა.[119] ამასთან, 2022 წლის 5 დეკემბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ წარადგინა თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა, თემატურ მოკვლევაზე „ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ."[120] ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა დაიწყო თემატური მოკვლევა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების და ცალკეული საკითხების იდენტიფიცირების მიზნით.[121]

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ევროკომისიის მე-9 პრიორიტეტის შესრულების ნაწილში სქესობრივი დანაშაულების, მათ შორის გაუპატიურების მუხლის სტამბულის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანას ითხოვდნენ.[122] არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების დანაშაულის არსებული ფორმულირება პრობლემურია, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელსაც თან ახლავს ძალადობა. შესაბამისად, გაუპატიურებად არ ითვლება ისეთი სქესობრივი დანაშაული, როდესაც მსხვერპლი მოძალადეს წინააღმდეგობას არ და ვერ უწევს, თუმცა აქტზე თანახმა არაა.[123]

ოპოზიციური პარტიები მე-9 რეკომენდაციის შესრულებას დადებითად აფასებენ, პროცესის ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის გამო, თუმცა, ის, რომ ამ დრომდე გაუპატიურების მუხლი არ შეცვლილა, მათთვის არასაიმედოა.[124] მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ცვლილებებზე მუშაობა ისევ გრძელდება და ეტაპობრივად დაინიციირდება პარლამენტში. შესაბამისად, ამ ეტაპზე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს დიდწილად შესრულებულად.

---

[119] მაგალითად, თემატური მოკვლევის ჯგუფი „ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე." დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022 წლის 31 მაისის სხდომის გადაწყვეტილება - *„ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე" - თემატური მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის თაობაზე,* ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/24250

[120] parliament.ge, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრის, თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარი მომხსენებლის ბაია კვიციანის მიერ წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა თემატურ მოკვლევაზე *„ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ"* , ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/25340

[121] parliament.ge, *ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ანგარიში,* 2022, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/319213

[122] Osgf.ge, *12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის,* ნაბიჯი 5, გვ.11, ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2022/07/evropisken_08.pdf

[123] radiotavisupleba.ge, *მარში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ - ქალები გაუპატიურების მუხლში ცვლილებას ითხოვენ,* 25.11. 2022 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32149118.html

[124] netgazeti.ge, *როგორ (არ) სრულდება „ყველაზე უწყინარი" რეფორმა EU-ს 12-პუნქტიანი გეგმიდან,* 10.09.2022 ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/634338/

პრიორიტეტი 10.
სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა

ევროკომისიის რეკომენდაცია

უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.[125]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კოორდინაციას გაუწევს ევროკავშირის პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ეფექტიან ჩართულობას. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შენარჩუნება ევროკავშირის პირობებზე მუშაობის დასრულების შემდეგაც.[126]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში კარგად განვითარებული, მრავალფეროვანი და ენერგიულია და სარგებლობს თავისუფლებით. ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ასევე, არსებობს და გამოიყენება საზოგადოებასთან კონსულტაციის მექანიზმები პოლიტიკის შემუშავებასა და კანონშემოქმედებაში. თუმცა, ბოლო დროს ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ეზღუდება პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა, რაც, აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.[127]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პარლამენტმა უზრუნველყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის - საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლების ჩართულობა ყველა საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში საწყის ეტაპზე და ამ კუთხით ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა.[128]

---

[125] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[126] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[127] ec.europa.eu, *Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union. Brussels,* გვ. 6, 17.06.2022, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf

[128] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/shalva-papuashvili-sakartvelos-parlamentma-miaghtsia-mnishvnelovan-progress-evrokavshiris-rekomendatsiebis-gankhortsielebashi

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, მიუხედავად საწყის ეტაპზე პროცესის შედარებით გამჭვირვალეობისა (იგულისხმება სამუშაო ჯგუფებში ეროვნული პლატ-ფორმის მიერ ნომინირებული ორი ორგანიზაციის ჩართვა და საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესის საჯაროობა), საერთო ჯამში, ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესში მმართველი პარტია არ იყო ორიენტირებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. აღნიშნული მკაფიოდ გამოკვეთა ჯერ ISFED-ის სამუშაო ჯგუფში არ დაშვებამ და მოგვიანებით, და-ადასტურა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ „რუსული კანონპროექტების" ინიცი-ირებამ, რაც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი ორგანიზაციების და მედია საშუალებების შევიწროებას და უცხოეთის გავლენის აგენტებად მონიშვნას. კანონის პროექტების განხილ-ვაზე პარლამენტმა საშვები გააუქმა, კომიტეტის სხდომაზე შესასვლელად ფიზიკური დაბრკოლებები შეუქმნა და/ან პარლამენტის შენობაში არ დაუშვა საზოგადოებრივი ორ-განიზაციების და დამოუკიდებელი მედიის დიდი ნაწილი.

შესაბამისად, ევროკავშირის პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ეფექტიან ჩართულობასთან დაკავშირ-ებით „ქართულ ოცნებას" თავისი გეგმაც არ შეუსრულებია.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

2022 წლის 12 ივლისს, ხუთმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ საჯაროდ დაადასტურა ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში მონაწილეობის მზაობა და პარლამენტის თავმჯდომარეს „შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში" საზოგადოებრივ ორ-განიზაციებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზების თხოვნით მიმართა, ევროკომისიის პრიორიტეტების შესრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ფორ-მატსა და შემდგომი მუშაობის პროცედურებზე მოსაზრებების გაცვლის მიზნით.[129]

მიმართვის პასუხად, პარლამენტმა სამუშაო ჯგუფებში საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნომინირების პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას მიანდო. თუმცა, სამუშაო ჯგუფებში მხოლოდ ორ-ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაუშვეს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, მართლმსაჯულების საკითხებზე პარლამენტის იურიდიულ საკ-ითხთა კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში ჩართვის სურვილი შვიდმა საზოგადო-ებრივმა ორგანიზაციამ გამოთქვა, კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სამუ-შაო ჯგუფში ჩართვის შესაძლებლობა მხოლოდ ორ ორგანიზაციას მიეცა. იმავე პერიოდში, მმართველმა პარტიამ საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის საკითხზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში ჩართვაზე უარი უთხრა „სამართლიან არჩევნებს" (ISFED). არასამთავრობო ორგან-იზაციების უმეტესობამ, აღნიშნული ფაქტი დისკრიმინაციულად შეაფასა და სამუშაო ჯგუფებში მუშაობა პროტესტის ნიშნად შეაჩერა.[130]

---

[129] Democracyresearch.org, *„ხელმომწერი ორგანიზაციები ადასტურებენ მზაობას, ჩაერთონ ევროკომისიის რეკომენდაციების დროული და სრულყოფილი შესრულების პროცესში"*, 12.07.2022, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1038/

[130] Democracyresearch.org, *„მმართველმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს ISFED-ის ჩართულობა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში""* 20.08.2022, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1058/

მონაწილეობის მიღმა, მე-10 პრიორიტეტის შესრულების შესაფასებლად, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ითვალისწინებდა მმართველი პარტია არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, საქართველოს პარლამენტს არაერთი რეკომენდაცია წარუდგინა; მათგან, პარლამენტმა რამდენიმე გაითვალისწინა, თუმცა მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესის მიღმა აღმოჩნდა სასამართლო რეფორმასთან, მედიის დამოუკიდებლობასთან, საგამოძიებო ფუნქციებით აღჭურვილ დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ ორგანოსთან და უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ეფექტიანობას განსაზღვრავს, კანონის პროექტების განხილვის დროს კომიტეტის სხდომაზე და განსახილველ საკითხებზე ხელმისაწვდომობაა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებამ აჩვენა, რომ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე კანონის პროექტები და ჩანიშნული სხდომების შესახებ ინფორმაცია დროულად არ ქვეყნდებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კუთხით ვითარება რადიკალურად შეცვალა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ ინიციირებულმა და მხარდაჭერილმა „რუსულმა კანონპროექტებმა“,[131] რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედია საშუალებების უცხო ქვეყნის გავლენის აგენტებად მონიშვნას. მასიური საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტები გაიწვია.[132] თუმცა, კანონპროექტების ინიციირებამ და საკომიტეტო განხილვებზე სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილის არდაშვებამ, აჩვენა, რომ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის სივრცე უკიდურესად შეზღუდულია.

ევროკავშირის პრეს-სპიკერმა პიტერ სტანომ განაცხადა, რომ მმართველი გუნდის კანონის პროექტმა „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ ევროკავშირის 12 პრიორიტეტიდან ორი დაარღვია.[133] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი იზიარებს ამ მოსაზრებას.

[131] radiotavisupleba.ge, *„ვის მოუწევს უცხოური გავლენის აგენტად დარეგისტრირება - „ხალხის ძალის“ კანონპროექტი,* 14.02.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xBpPNf

[132] Netgazeti.ge, *„პარლამენტმა რუსული კანონი ჩააგდო“,* 10.03.2023, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/659642/

[133] Netgazeti.ge, *სტანო: „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონმა 12-დან 2 პრიორიტეტი დაარღვია,* 13.03.2023, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/opinion/660059/

პრიორიტეტი 11.
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენების გათვალისწინება სასამართლო გადაწყვეტილებებში

ევროკომისიის რეკომენდაცია

მიღებული იქნეს კანონი, რომლის თანახმადაც, ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში.[134]

„ქართული ოცნების“ გეგმა

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის აღსრულების პროცედურების გათვალისწინებით, შესაბამის კანონპროექტს მოამზადებს და პარლამენტს ინიციატივის წესით წარუდგენს პირველ სექტემბრამდე. კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და მიიღებს არა უგვიანეს 18 ოქტომბრისა.[135]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

დოკუმენტში ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემური ხასიათი. შეფასების მიხედვით, გადაწყვეტილებები ეხება ისეთი ფუნდამენტური უფლებების დაცვას, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, არასათანადო მოპყრობისგან დაცვა, ძალის გადამეტებისგან დაცვა, წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენება, ჰომოფობიური თავდასხმებისგან დაცვა და ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული პოლიციის უმოქმედობა.[136]

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ ევროკომისიის მე-11 რეკომენდაცია საკუთარი გეგმის მიხედვით შეასრულა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მუშაობა როგორც სახალხო დამცველის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო ჩართულობით მიმდინარეობდა და ეს ცვლილებები სრული კონსენსუსით იქნა მიღებული.[137] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი იზიარებს ამ შეფასებას.

---

[134] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800,

[135] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[136] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800,

[137] parliament.ge, *შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელებაში,* 08.02.2023. ხელმისაწვდომია:

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილების პროექტი მესამე მოსმენით 2022 წლის 18 ოქტომბერს მიიღო.

საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით, ცვლილები სავალდებულოს ხდის უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირება, რომლის მთავარი ამოცანა მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პერიოდული ანალიზი და აღნიშნული მიმართულებით საინფორმაციო საქმიანობის განხორციელება იქნება.[138]

აღნიშნული კანონის პროექტი პარლამენტმა 101 ხმით მიიღო, რითაც ევროკომისიის რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

https://parliament.ge/media/news/shalva-papuashvili-sakartvelos-parlamentma-miaghtsia-mnishvnelovan-progress-evrokavshiris-rekomendatsiebis-gankhortsielebashi

[138] bm.ge, *„კანონპროექტი, რომლითაც EU-ს რეკომენდაციების მე-11 პუნქტი სრულდება, დღეს იქნა მიღებული“*, 18.10.2022, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/quotkanonproeqti-romlitac-eu-s-rekomendaciebis-me-11-punqti-sruldeba-dges-iqna-migebuliquot/118779

პრიორიტეტი 12.
სახალხო დამცველის გამჭვირვალე შერჩევა და აპარატის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

ევროკომისიის რეკომენდაცია

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ კანდიდატს და პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ.
- დაცული იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.[139]

„ქართული ოცნების“ გეგმა

საპარლამენტო უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციას პირველ სექტემბრამდე შესთავაზებს სახალხო დამცველის კანდიდატურების შერჩევის ინკლუზიურ პროცედურას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახალხო დამცველის პოზიციაზე იმგვარი პირის წარდგენა, რომელიც იქნება თანაბრად მისაღები, როგორც უმრავლესობისთვის, ისე - ოპოზიციისთვის და შესაბამისად, მაღალი ლეგიტიმაციით იქნება არჩეული. კენჭისყრა სახალხო დამცველის ასარჩევად შედგება არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა.[140]

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მომზადებულ მოსაზრებაში დადებითად არის შეფასებული სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობა, თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ უფრო მეტი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, როგორც სახალხო დამცველის აპარატის, ისე - თავად სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად.[141]

---

[139] ec.europa.eu, *Opinion on the EU membership application by Georgia*, 17.06.2022 ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[140] civil.ge, *ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა,* 01.07.2022 ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/499106

[141] ec.europa.eu, *Commission Opinion on the EU membership application by Georgia,* გვ. 10, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

„ქართულმა ოცნებამ“ თავისი გეგმა შეასრულა - პარლამენტის თავმჯდომარემ ბრძანებით გადაჭრა ყველა ის საკითხი, რაც გეგმაში იყო ასახული, თუმცა, გეგმით გათვალისწინებული მიზანი, პროცესის ინკლუზიურობასთან და დამოუკიდებელი სახალხო დამცველის შერჩევასთან დაკავშირებით, ვერ შესრულდა. ამასთან, გეგმის მიხედვით, სახალხო დამცველი უნდა არჩეულიყო არაუგვიანეს 1-ლი დეკემბრისა, თუმცა კენჭისყრა დაგვიანებით, 22 დეკემბერს გაიმართა და სახალხო დამცველის არჩევა ვერ მოხერხდა.

2023 წლის 28 თებერვალს პარტია „მოქალაქეებმა“ სახალხო დამცველის კანდიდატად ლევან იოსელიანი დაასახელა.[142] კანდიდატმა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მხარდაჭერა მიიღო. მოგვიანებით, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა ლევან იოსელიანის კანდიდატურისთვის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოსმენის გარეშე ეყარა კენჭი.[143] პარლამენტმა ლევან იოსელიანი სახალხო დამცველად 2023 წლის 7 მარტს აირჩია, იმ დღეს, როდესაც პარლამენტმა მოულოდნელად, დაგეგმილზე ორი დღით ადრე დაიწყო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა.

პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, სახალხო დამცველობის კანდიდატის პარლამენტისთვის წარდგენის უფლება აქვს საპარლამენტო ფრაქციას და უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს. სახალხო დამცველის ასარჩევად საჭიროა 90 დეპუტატის ხმა, რასაც საპარლამენტო პარტიებს შორის კონსენსუსი სჭირდება.

რეკომენდაციის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის შერჩევის დროებითი წესი 83 ხმით მიიღო.[144] დროებითი წესის მიხედვით, სახალხო დამცველის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს კანდიდატურები წარედგინა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილი წესით. პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ასევე განისაზღვრება სპეციალური შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, სამოქალაქო საზოგადოების 9 წევრისგან დაკომპლექტდა.[145] პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენამდე სამუშაო ჯგუფის წევრებმა კანდიდატები შეაფასეს ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა: კეთილსინდისიერება, მაღალი რეპუტაცია, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, სათანადო პროფესიული ცოდნა (კვალიფიკაცია, აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო მიღწევები და სხვ.), პრაქტიკული გამოცდილება ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენ-

---

[142] netgazeti.ge, *ლევან იოსელიანი „მოქალაქეების“ ომბუდსმენობის კანდიდატი იქნება,* 28.02.2023, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/657214/

[143] tabula.ge, *ომბუდსმენობაზე იოსელიანის კანდიდატურა პლენარულის კენჭისყრაზე განხილვის გარეშე გავა,* 06.03.2023, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/698181-ombudsmenobaze-ioselianis-kandidatura-plenarulis

[144] parliament.ge, 09.09.2022, *პარლამენტმა რეგლამენტში შესატანი ცვლილებით, სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესს მესამე მოსმენით მხარი 83 ხმით დაუჭირა,* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3D9vWLB

[145] parliament.ge, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება, 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატად წარდგენის მსურველ პირთა შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, 28.09.2022, 1/435/22, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/8/chairman/brdzaneba-2020-X/1-435-22.pdf

ტური თავისუფლებების სფეროში.[146] შეფასების ჯგუფმა კანდიდატები ქულებით შეაფასა.[147]

პარლამენტში შექმნილი შეფასების კომისიის მხრიდან კანდიდატების შეფასებას წინ უსწრებდა სახალხო დამცველის შესარჩევად სამოქალაქო სექტორში დაწყებული პროცესი. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად შეიმუშავეს ომბუდსმენის კანდიდატობის ნომინირების წესი და კრიტერიუმები და სამი კანდიდატი - ნაზი ჯანეზაშვილი, გიორგი ბურჯანაძე და ანა აბაშიძე დაასახელეს.[148] საგულის-მოა, რომ პარლამენტში შექმნილმა შეფასების ჯგუფმა ყველაზე მაღალი ქულებით ნაზი ჯანეზაშვილი, გიორგი ბურჯანაძე, ანა აბაშიძე და ნუგზარ კოხრეიძე შეაფასა.

განხორციელებული დროებითი ცვლილებებით ფრაქციას, უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს და პოლიტიკურ ჯგუფს მიენიჭა უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა სახალხო დამცველობის მსურველ პირთაგან ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა. პარლამენტში კი პროცესი იმ შემთხვევაში დაიწყებოდა, თუ წარდგენილი კანდიდატების რაოდენობა 7-ზე ნაკლები არ იქნებოდა. ერთი შეხედვით, შემუშავებული დროებითი ცვლილებებით, მმართველმა პარტიამ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს მოქნილი გარემო შესთავაზა და შექმნა ნიადაგი რეკომენდაციის შესასრულებლად.

პოლიტიკურმა ჯგუფმა „მოქალაქეები“ საქართველოს პარლამენტს ყველა ის კანდიდატი წარუდგინა, ვინც სახალხო დამცველის პოზიციის დასაკავებლად სურვილი გამოთქვა.[149] ამ ნაბიჯმა შეფასების კომისიის საქმიანობა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან კანდიდატების წარდგენა ფორმალობად აქცია. აქვე, დადებითად უნდა შეფასდეს ლევან იოსელიანის ინიციატივით განხორციელებული ცვლილებაც, სახალხო დამცველის კანდიდატების ღია კენჭისყრით შერჩევასთან დაკავშირებით, თუმცა, მიმდინარე პროცესებზე პოზიტიური გავლენა ამანაც ვერ მოახდინა.

2022 წლის 25 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში სახალხო დამცველობის კანდიდატებთან გამართული გასაუბრებების დროს პარლამენტის წევრებმა მეტ-ნაკლებად მიკერძოებული პოზიციები დაიკავეს. ზოგიერთ კანდიდატთან მიმართებით, კითხვების შინაარსი უფრო მეტად კრიტიკული იყო (არასამთავრობო სექტორის მიერ დასახელებული პირების მიმართ) და ეხებოდა მათ შორის, წარსულში მმართველი პარტიის მიმართ ფეისბუქ სტატუსებად გამოტანილ კრიტიკულ განცხადებებს. მაგალითად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ თქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატების უკეთ გასაცნობად და „მიუკერძოებლობის დასადგენად“ მათი ფეისბუქგვერდები დაათვალიერა.[150] საგულისხმოა, რომ ნაზი ჯანეზაშვილი კომიტეტის ფორმატში გასაუბრების დროს პარლამენტში არ

---

[146] parliament.ge, *პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებით, სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესი დგინდება,* 06.09.2022, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentis-reglamentshi-shesatani-tsvlilebit-sakhalkho-damtsvelis-archevis-droebiti-tsesi-dgindeba 2

[147] radiotavisupleba.ge, *სახალხო დამცველის კანდიდატები შეაფასეს - რა იქნება ახლა?* 14.10.2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32082229.html ,

[148] radiotavisupleba.ge, *არასამთავრობო ორგანიზაციები სახალხო დამცველის თანამდებობაზე სამ კანდიდატს ასახელებენ,* 29.09.2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32053051.html,

[149] interpressnews.ge, *„მოქალაქეები“ სახალხო დამცველის პოსტზე ასარჩევად პარლამენტს 19-ვე კანდიდატურას წარუდგენს,* 19.10.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RgDUbO

[150] radiotavisupleba.ge, *პარლამენტმა სახალხო დამცველის კანდიდატების პირველ სამეულს მოუსმინა - კითხვები და პასუხები,* 25.10.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XUchY9

გამოცხადდა, რის ძირითად მიზეზადაც მმართველი პარტიის მიკერძოებული მიდგომა დაასახელა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭს უყრიდნენ პარლამენტისთვის წარდგენილ ყველა (19) კანდიდატს. თუმცა, უმრავლესობამ კონსულტაციები ოპოზიციასთან, მხოლოდ 8 კანდიდატთან დაკავშირებით გამართა.[151]

მიუხედავად იმისა, რომ მმართველმა პარტიამ სახალხო დამცველის შერჩევის ინკლუ-ზიური და გამჭვირვალე პროცესი შემოიღო, კერძოდ, არ წარადგინა საკუთარი კანდიდატი, შექმნა შეფასების კომისია, ჩატარდა კანდიდატებთან გასაუბრებები, კანდიდატებს კენჭი ეყარათ ღია კენჭისყრით - მე-12 პრიორიტეტის მიზანი მიუღწეველი დარჩა. კენჭისყრის დროს, პარლამენტის წევრებმა მხედველობაში არ მიიღეს პარლამენტში შექმნილი შეფას-ების კომისიის მხრიდან დაწერილი ქულები. საბოლოოდ, 2022 წლის 22 დეკემბერს პარ-ლამენტის პლენარულ სხდომაზე კონსენსუსი ვერ შედგა და ომბუდსმენი ვერ შეირჩა.[152]

ყოფილი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას უფლებამოსილების ვადა 2022 წლის 8 დეკემბერს ამოიწურა. შეთანხმების მიუღწევლობის გამო, 2022 წლის დეკემბრიდან სახალხო დამცველის მოვალეობას სახალხო დამცველის პირველი მოადგილე 3 თვის განმავლობაში ასრულებდა.

პარტია „მოქალაქეების“ მიერ ლევან იოსელიანის დასახელებისთანავე გაკეთდა გან-ცხადებები, რომ მის კანდიდატურაზე შესაძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა. ლევან იოსელიანის კანდიდატურა დადებითად შეაფასა პარლამენტის თავმჯდომარემ[153] და რამდენიმე დეპუტატმა საპარლამენტო ოპოზიციიდან.[154] ლევან იოსელიანის არჩევის პროცესს კრიტიკულად გამოეხმაურნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახალი კანდი-დატის შერჩევის პროცესის „დახურულ კარს მიღმა წარმართვის“ და „ქვეყნის მთავარ უფლებადამცველ პოზიციაზე პოლიტიკოსის არჩევის“ გამო.[155]

პროცესის ინკლუზიურობაზე უარყოფითად იმოქმედა იმანაც, რომ საქართველოს პარ-ლამენტმა კანდიდატს მხოლოდ ერთხელ, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე მოუსმინა 6 მარტს;[156] მომდევნო დღეს, 7 მარტს,

---

[151] radiotavisupleba.ge, *უმრავლესობა სახალხო დამცველობის რვა კანდიდატურაზე ოპოზიციასთან კონსულტაციას გააგრძელებს,* 28.22.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wkwRp0

[152] radiotavisupleba.ge, *პარლამენტმა ვერ აირჩია სახალხო დამცველი,* 22.12.2022, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32188833.html

[153] interpressnews.ge, *შალვა პაპუაშვილი - ლევან იოსელიანის, როგორც პროფესიონალის მიმართ, რთულია რამე არადადებითი თქვა - უმრავლესობა იმსჯელებს და მივიღებთ გადაწყვეტილებას,* 01.03.2023, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/746806-shalva-papuashvili-levan-ioselianis-rogorc-propesionalis-mimart-rtulia-rame-aradadebiti-tkva-umravlesoba-imsjelebs-da-mivigebt-gadacqvetilebas/

[154] interpressnews.ge, *„ხათუნა სამნიძე - სახალხო დამცველად ლევან იოსელიანის კანდიდატურას ჩემი ხმა ექნება - ბევრჯერ გვითქვამს, რომ ომბუდსმენი პოლიტიკური ფიგურა არ უნდა იყოს, მაგრამ კონსენსუსისთვის საჭიროა კომპრომისი“,* 02.03.2023, ხელმისაწვდომია: bit.ly/3Jue68z ასევე: 1tv.ge, *„თამარ კორძაია - ლევან იოსელიანს ჩემი ხმა ექნება, პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ყველაზე მისაღები კანდიდატია“,* 28.02.2023, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/tamar-kordzaia-levan-ioselians-chemi-khma-eqneba-radgan-politikuri-konteqstis-gatvaliswinebit-yvelaze-misaghebi-kandidatia/

[155] jam-news.net, *„არასამთავრობოები სახალხო დამცველის პოსტზე ლევან იოსელიანის არჩევის პროცესს არ ეთანხმებიან“,* 07.03.2023, ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/arasamtavroboebi-sakhalkho-damcvelis-postze-levan-ioselianis-archevis-process-ar-etankhmebian/

[156] parliament.ge, *ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა სახალხო დამცველობის კანდიდატს, ლევან იოსელიანს მოუსმინა,* 06.03.2023, ხელმისაწვდომია:

პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე ლევან იოსელიანი სახალხო დამცველად განხილვის გარეშე აირჩია.[157] სახალხო დამცველის არჩევის პროცესი კრიზისულ პოლიტიკურ ვითარებაში ჩატარდა და ნაჩქარევად გამოიყურებოდა იმის გათვალისწინებითაც, რომ კენჭისყრის პარალელურად ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის შესახებ“ კანონის ინიციირების გამო. მართალია, სახალხო დამცველი ერთპარტიულად არ ყოფილა არჩეული და მას მხარი დაუჭირა პარლამენტის 96 წევრმა, მათ შორის, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა „მოქალაქეების“, „გირჩის“ და „ევროპელი სოციალისტების“ პოლიტიკური ჯგუფებიდან, ასევე, რამდენიმე უფრაქციო დეპუტატმა, თუმცა პროცესი ინკლუზიური და სათანადოდ გამჭვირვალე არ ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ლევან იოსელიანის სახალხო დამცველად არჩევის პროცესი ინკლუზიური და გამჭვირვალე არ ყოფილა, ამ ეტაპზე ევროკომისიის რეკომენდაცია შეიძლება ფორმალურად შესრულებულად ჩაითვალოს. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად იქნება ახალი ომბუდსმენი სახალხო დამცველის ოფისის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტი, მნიშვნელოვანია პროცესზე დაკვირვება.

https://parliament.ge/media/news/adamianis-uflebata-datsvisa-da-samokalako-integratsiis-komitetma-sakhalkho-damtsvelobis-kandidats-levan-ioselians-mousmina

[157] parliament.ge, *პარლამენტმა სახალხო დამცველის პოსტზე ლევან იოსელიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა,* 07.03.2023, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentma-sakhalkho-damtsvelis-postze-levan-ioselianis-kandidaturas-mkhari-dauchira

ძირითადი მიგნებები

- მმართველი პარტიის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ანტიევროპული რიტორიკა ევროინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს
- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის პროექტების ინიციირებით, მმართველმა ძალამ ევროინტეგრაციის პროცესი სერიოზულად დააზარალა და გააღრმავა პოლარიზაცია ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის
- პროცესის დასაწყისშივე, მმართველი პოლიტიკური ძალა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას მხოლოდ თავისი გეგმით შეუდგა
- საპარლამენტო ოპოზიციამ ევროკომისიის პრიორიტეტების შესასრულებლად ცალკე სამუშაო ჯგუფები შექმნა, რამაც პროცესის დუბლირება გამოიწვია და პროდუქტიული არ აღმოჩნდა
- სამუშაო ჯგუფებში ნაკლებად იყო გათვალისწინებული არასამთავრობო სექტორისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა პოზიციები
- ყველა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ მიეცა პარლამენტში შექმნილ სამუშაო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა
- მმართველი პარტია იმ რეკომენდაციების შეუსრულებლობას, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური კონსენსუსით მიიღწევა, ოპოზიციური ძალის პოლიტიკურ პასუხისმგებლობად მიიჩნევს
- ევროკომისიის 12 პუნქტის შესრულების პროცესი პოლიტიკური აქტორების მხრიდან ზედაპირული და ნაკლებად ინკლუზიურია.
- მმართველ პარტიას პირველი, მეშვიდე და მერვე პრიორიტეტის შესასრულებლად ძალისხმევა არ გაუწევია.

რეკომენდაციები

მმართველ პოლიტიკურ ძალას:

- შეწყვიტოს ქვეყნის ევროპული პერსპექტივის დამაზარალებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და განცხადებები.
- დაიწყოს შინაარსობრივი განხილვები და გადადგას გადამჭრელი ნაბიჯები ევროკომისიის 12 პრიორიტეტის კეთილსინდისიერად შესასრულებლად, რაც გამორიცხავს ფორმალურ ნაბიჯებს და ინიციატივებს.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებს:

- დაუბრუნდნენ აქტიურ საპარლამენტო საქმიანობას ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულების მიზნის მისაღწევად.